# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსამაგლესია.


პარასკევი, 15 თებერვალი. 2019 წ. №33 (8699) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


## ხალხის მოთხოვნა:
# რეჟიმი უნდა გასამართლდეს!



მიეცეს პოლიტიკური შეფასება „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების მმართველობის პერიოდს, გამოძიებულ იქნას ყველა სისტემური დანაშაული და გამოძიებულ იქნას აგვისტოს ომის და მისი წინმსწრები მოვლენების გარემოებები.

③

## ირაკლი კობახიძე: ოპოზიციამ 2020 წლიდან პროპორციული სისტემის ამოქმედებაზე უარი თქვა – ახლა თემა დახურულია!



**„საკონსტიტუციო რეფორმის დასრულების შემდეგ ჩვენ გვქონდა ერთგვარი რეფერენდუმი, შემდეგ ჩატარდა მუნიციპალური არჩევნები. ამ მუნიციპალურ არჩევნებს ზუსტად ოპოზიცია უწოდებდა მაშინ საკონსტიტუციო რეფერენდუმს და იმ რეფერენდუმში ხალხმა გამოხატა თავისი ძალიან მყარი მხარდაჭერა „ქართული ოცნების“ მიმართ“,** — ასე ეხმაურება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ოპოზიციის გეგმას მილიონი ხელმოწერის შეგროვების შესახებ, რათა 2020 წელს არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდეს. ირაკლი კობახიძის თქმით, საკონსტიტუციო რეფორმის პროცესში, მმართველმა გუნდმა ოპოზიციას შესთავაზა, პროპორციული სისტემა 2020 წლიდან ამოქმედებულიყო, მაგრამ მაშინ ოპოზიციამ ამაზე უარი თქვა. მისივე განცხადებით, მუშაობა გაგრძელდება დღეს ჩამოყალიბებული კანონმდებლობით.

**„საკონსტიტუციო რეფორმა დასრულებულია. მაშინ ჩენ შევთავაზეთ ოპოზიციას უკვე 2020 წლიდან პროპორციული სისტემის ამოქმედება, თუმცა, ამაზე ითქვა უარი. შესაბამისად, ჩვენ მოგვიწია ორსაფეხურიანი სისტემით გადასვლა პროპორციულ სისტემაზე. რეფორმა დასრულებულია, ეს თემა დახურულია, შესაბამისად, გაგრძელდება მუშაობა იმ კანონმდებლობით, რომელიც არის დღეს ჩამოყალიბებული. რაც შეეხება მილიონ ადამიანს, ჩვენ გვქონდა ერთგვარი რეფერენდუმი, მას შემდეგ, რაც დასრულდა საკონსტიტუციო რეფორმა. მოგეხსენებათ, მას შემდეგ ჩატარდა მუნიციპალური არჩევნები. ამ მუნიციპალურ არჩევნებს ზუსტად ოპოზიცია უწოდებდა მაშინ საკონსტიტუციო რეფერენდუმს და იმ რეფერენდუმში ხალხმა გამოხატა თავისი ძალიან მყარი მხარდაჭერა „ქართული ოცნების“ მიმართ. თქვენ გახსოვთ, რომ მაშინ ჩვენ მოვიგეთ მუნიციპალური არჩევნები“,** — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

## როცა დახარჯულ ფულსა და საქმეს შუა უზის დიდი ზღვარი...



⑤

## ჯანდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგიული დოკუმენტი არ გააჩნია



როცა ნიჭიერება იმარჯვებს

⑥ ⑨

## აკადემიკოს ინესა მერაბიშვილის ფილოლოგიური გმირობა

### აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო:
## რუსეთის შეჭრა საქართველოსა და უკრაინაში წარმოადგენს პირდაპირ გამოწვევას ჩვენი უსაფრთხოებისა და ცხოვრებისათვის

②





## რუხის ახალ საუნივერსიტეტო კლინიკას – ღირსეული მეცნიერის სახელი!

③

## სამეგრელო-ზემო სვანეთის და აფხაზეთის მოსახლეობის ერთსულოვანი თხოვნა ქვეყნის ხელისუფლებას

# რუსეთის შეჭრა საქართველოსა და უკრაინაში წარმოადგენს პირდაპირ გამოწვევას ჩვენი უსაფრთხოებისა და ცხოვრებისათვის



**„დღეს ევროპის თავისუფლების შენარჩუნება ყველა მოკავშირის პასუხისმგებლობაა. რუსეთს ევროპაზე დომინირების და მსოფლიო არენაზე გავლენის განმტკიცების დიდი გეგმები აქვს. ვლადიმერ პუტინის მიზანია ნატოს ალიანსის გახლეჩა, შეერთებული შტატების დასუსტება და დასავლური დემოკრატიების განადგურება. რუსეთის შეჭრა საქართველოსა და უკრაინაში, მისი არაპროვოცირებული თავდასხმა უკრაინულ გემებზე გასულ ნოემბერს შავ ზღვაში და ჩვენი და ჩვენი მოკავშირეების წინააღმდეგ მიმდინარე ჰიბრიდული ომი წარმოადგენს პირდაპირ გამოწვევას ჩვენი უსაფრთხოებისა და ცხოვრებისათვის,“** — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ პოლონეთში ახლო აღმოსავლეთის სამიტის მიმდინარეობისას.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი სამუშაო ვიზიტით პოლონეთში იმყოფება, სადაც საერთაშორისო კონფერენციის „Peace and Security in the Middle East“ — მშვიდობა და უსაფრთხოება ახლო აღმოსავლეთში, გახსნით ღონისძიებაზე ხანმოკლე შეხვედრა და საუბარი შედგა ამერიკის სახელმწიფო მდივანთან მაიკ პომპეოსთან.

მხარეებმა ხაზი გაუსვეს ორი ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორობას, აშშ-ის მხრიდან კიდევ ერთხელ აღინიშნა საქართველოს, როგორც რეგიონში აშშ-ის მტკიცე პარტნიორისა და მოკავშირის როლი. დავით ზალკალიანმა მადლობა გადაუხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანს საქართველოს მხარდაჭერისთვის, რაც ასევე გამოიხატა პოლონეთის რესპუბლიკაში სახელმწიფო მდივნის ვიზიტის დროს საქართველოსთან დაკავშირებით გაკეთებულ საჯარო განცხადებაში, სადაც მან კიდევ ერთხელ დაგმო რუსეთის აგრესია სუვერენული სახელმწიფოების წინააღმდეგ.

მინისტრმა ამერიკის სახელმწიფო მდივანს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული რთული ვითარებისა და იმ უკანონო ქმედებების შესახებ, რასაც ადგილი აქვს რუსეთის ფედერაციის მხრიდან. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ამერიკის ურყევი მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი და აღნიშნა, რომ აშშ ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, როგორც ორმხრივ, ასევე საერთაშორისო ფორმატებში.

**მაიკ პომპეომ გამოხატა მზაობა და მხარდაჭერა ქვეყნებს შორის თავდაცვის, უსაფრთხოების და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების მიმართ. მაღალი შეფასება მიეცა ქვეყნებს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში არსებულ თანამშრომლობას. განსაკუთრებით აღინიშნა საქართველოს აქტიური ჩართულობა და მონაწილეობა გლობალურ საკითხებში, ამ მხრივ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მადლობა გადაუხადა ქართველ კოლეგას ვენესუელასთან დაკავშირებით გამოხატული პოზიციის გამო.**

საგარეო საქმეთა მინისტრმა და სახელმწიფო მდივანმა დადებითი შეფასება მისცეს ქვეყნებს შორის ყველა დონეზე ინტენსიურ კომუნიკაციას, ამ კონტექსტში საუბარი შეეხო დაგეგმილ და განხორციელებულ მაღალი დონის ვიზიტებსა და შეხვედრებს.

## „თუ ვინმეს გუნდის დატოვება უნდა, არავინ არავის არ აკავებს“



ეს განცხადება მმართველი გუნდის დეპუტატმა სოფო კილაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა. საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატები ეკა ბესელიას მიერ წარდგენილ კანონპროექტს ეხმაურებიან, რომელიც მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის შეჩერებას ეხება. „ქართული ოცნების“ წევრებს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის კანონპროექტთან დაკავშირებით შეკითხვები აქვთ.

**„უმრავლესობის უმრავლესობას ამ საკითხზე ჯერ არ უმსჯელია. მე მაქვს ჩემი მოსაზრება, როგორც იურისტს. ნამდვილად არსებობს აქ გარკვეული კითხვის ნიშნები კონსტიტუციურობასთან მიმართებით. ჩვენ რაც არ უნდა კარგი მიზანი გვქონდეს კონკრეტულ შემთხვევაში, კონსტიტუციას გვერდს ვერ ავუვლით. საკითხი ვინ წავა, წამოვა, ეს კონკრეტული ადამიანების საქმეა და როგორც არაერთხელ ითქვა, ეს მათი გადასაწყვეტია. თუ ვინმეს გუნდის დატოვება უნდა, არავინ არავის არ აკავებს“,** — განაცხადა სოფო კილაძემ.

ეკა ბესელიამ იურიდიულ საკითხთა კომიტეტში ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. დეპუტატი ითხოვს, რომ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის შეჩერების შესახებ კანონპროექტი შემჭიდროებულ ვადებში განიხილონ. მას იურიდიული კომიტეტის უმრავლესობის მხარდაჭერა სჭირდება.

## სასამართლო სისტემაში უვადოდ კიდევ 8 მოსამართლე განწესდა

**გადაწყვეტილება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გუშინდელ სხდომაზე მიიღეს. კენჭისყრა გაიარეს იმ მოსამართლეებმა, რომლებიც სამწლიანი გამოსაცდელი ვადით იმყოფებოდნენ თანამდებობაზე.**

უვადოდ განწესდნენ, შემდეგი მოსამართლეები:

**ნატრული აკობია** — ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში განწესდა 12-ხმით, 2-ის წინააღმდეგ;

**ეკა არეშიძე** — 14 ხმით უვადოდ განწესდა თბილისის საქალაქო სასამართლოში;

**გია ბერაია** — უვადოდ განწესდა ახალციხის რაიონულ სასამართლოში, 12 ხმით 2-ის წინააღმდეგ;

13 ხმა ერთის წინააღმდეგ მიიღო მოსამართლემ **ლერი თედორაძემ** და ის ქუთაისის საქალაქო სასამართლოში განწესდა;



უვადოდ განწესდა ასევე მოსამართლე **ინდირა მაშანეიშვილი,** რომელმაც 12 ხმა 2-ის წინააღმდეგ მიიღო. ის ბათუმის საქალაქო სამოქალაქოში განწესდა;

**სალიხ შაინიძემ** მიიღო — 12 ხმა 2-ის წინააღმდეგ. ის ბათუმის საქალაქო სასამართლოში განწესდა;

**ნატო ხუჯაძემ** მიიღო 12-ხმა 2-ის წინააღმდეგ. ის უვადოდ განწესდა თბილისის საქალაქო სასამართლოში;

**მერაბ ჯორბენაძემ** მიიღო 13-ხმა 1-ის წინააღმდეგ და ის თბილისის საქალაქო სასამართლოში განწესდა.

## ოპოზიცია კამპანიას „მილიონი ხმა საარჩევნო სისტემის შესაცვლელად“ იწყებს

ოპოზიცია არჩევნების პროპორციული სისტემის ჩატარების მოთხოვნის გარშემო ერთიანდება. ოპოზიციის წარმომადგენლებმა გუშინ სამომავლო სტრატეგიასა და საბოლოო პოზიციის ჩამოყალიბებაზე



იმსჯელეს. შეხვედრას 21 პარტია ესწრებოდა.

„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერის მამუკა კაციტაძის თქმით, იმის მიუხედავად, რომ კამპანიისთვის 200 ათასი ხელმოწერაა საჭირო, ოპოზიცია შეძლებს, რომ მილიონამდე ხელმოწერა შეაგროვოს და ხელისუფლებას აჩვენოს, თუ რამდენად აუცილებელია ამ ცვლილების განხორციელება და როგორი ერთიანია ამაში საზოგადოება და ოპოზიციური სპექტრი.

## მტრის ჯინაზე შერიგდნენ...

**თელავისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებმა პროექტის — „ადგილობრივი ინიციატივები ადგილობრივი განვითარებისათვის“ ფარგლებში „მედია ცენტრ კახეთთან“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს.**

მემორანდუმი მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერებას, სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივების ერთობლივ განხილვას და საყურადღებო პროექტების ფინანსური მხარდაჭერის ხელშეწყობას გულისხმობს.

მემორანდუმს ხელი თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გიორგი თუშიშვილმა და გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერმა არჩილ ხანდამაშვილმა მოაწერეს. ღონისძიებას ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო, მედიისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

# ჩვენ გადავარჩინეთ მცხეთა და გელათი

**„კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ 2018-2019 წლებში უპრეცედენტო სარეაბილიტაციო და სარესტავრაციო სამუშაოები გაწია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით“,** — განაცხადა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ მარიამ ჯაშმა ბორჯომში გამართულ კომიტეტის სხდომაზე, რომელზეც დეპუტატებმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის შესრულებული სამუშაოს ანგარიში მოისმინეს.

კომიტეტის თავმჯდომარის მარიამ ჯაშის შეფასებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო უაღრესად მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევა. მისი ინფორმაციით, დასრულების სტადიაშია მუცოს სარეაბილიტაციო სამუშაოები, გრძელდება ნოქალაქევის კომპლექსის, აწყურის ღვთისმშობლის ტაძრისა და აწყურის ციხის რეაბილიტაცია.

**„ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა მცხეთისა და გელათის ამოღება იუნესკოს საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის სიიდან. ჩვენ გადავარჩინეთ მცხეთა და გელათი“,** — განაცხადა მარიამ ჯაშმა.

მისი თქმით, 2018 წელს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლისა და რესტავრაციის საქმესთან დაკავშირებით 8000-ზე მეტი ადამიანი დასაქმდა. მისივე ინფორმაციით, სააგენტოსა და და საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის ძალისხმევით, ასევე სამინისტროსა და ფონდი „ქართუს“ ხელშეწყობით 122 ძეგლის რეაბილიტაცია განხორციელდა.

**„ბოლო 5 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად იზრდება მუზეუმებსა და მუზეუმნაკრძალებში ვიზიტორთა რაოდენობა, რის შედეგადაც 5-ჯერ გაიზარდა შემოსული ფინანსური რესურსების რაოდენობა“,** — განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარემ.



№ 33. პარასკევი, 15 თებერვალი, 2019 წელი.



# რუხის ახალ საუნივერსიტეტო კლინიკას – ღირსეული მეცნიერის სახელი!

## სამეგრელო-ზემო სვანეთის და აფხაზეთის მოსახლეობის ერთსულოვანი თხოვნა ქვეყნის ხელისუფლებას

**საქართველოს პრეზიდენტს,**
**ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს;**

**საქართველოს პრემიერ-მინისტრს,**
**ბატონ მამუკა ბახტაძეს;**

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების და დევნილთა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრს,**
**ბატონ დავით სერგეენკოს**

ახლოვდება მსოფლიოში გამოჩენილი ქირურგის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, დროისა და ეპოქის მიერ დაფასებული პიროვნების, მედიცინის ქურუმის, უკეთილშობილესი ადამიანის ეგნატე ფიფიას დაბადების 120 წლის იუბილე, რომელსაც ეჭვი არ გვეპარება, სათანადოდ აღნიშნავს ქვეყნის ხელმძღვანელობა.

2001 წელს სრულიად საქართველომ ღირსეულად აღნიშნა აკადემიკოს ეგნატე ფიფიას 100 წლის იუბილე, რომლის ფარგლებში ბევრ საინტერესო ინიციატივას ჩაეყარა საფუძველი, რომლებშიც წალენჯიხის მუნიციპალიტეტს და კერძოდ, ეგნატეს მშობლიურ სოფელ ჩქვალერს მიუძღვის თავისი მოკრძალებული წვლილი.

ამ დაუვიწყარი პიროვნების სახელის უკვდავსაყოფად კიდევ ახალი ინიციატივა წამოვიდა მოსახლეობიდან.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს მთავრობის დიდი ძალისხმევით ქვეყანაში ბევრი პროექტი ხორციელდება. მათ შორისაა, ზუგდიდის რაიონის, სოფელ რუხის ტერიტორიაზე აშენებული, ამიერკავკასიაში ერთ-ერთი თანამედროვე სამედიცინო ცენტრი – საუნივერსიტეტო კლინიკა, რომელიც თავისი გეოპოლიტიკური დატვირთვითაც მნიშვნელოვანია.

მოგმართავთ თხოვნით, რომ აღნიშნულ საუნივერსიტეტო კლინიკას ეწოდოს აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელი (წერილის შემოტანამდე ვაწარმოეთ ერთგვარი კვლევა, რეგიონის მოსახლეობის გამოკითხვა ამ ინიციატივის მხარდამჭერთა დასადგენად. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა ენთუზიაზმით შეხვდა ამ ინიციატივას და ხელმოწერებითაც დაადასტურა).

ვიტოვებთ იმედს, ასეთი საშვილიშვილო საქმეებისადმი თქვენი პრინციპული დამოკიდებულებისა და გვჯერა, რომ რუხის კლინიკა ღირსეული მამულიშვილის, აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელდებით, ერთ- ერთ წამყვან ადგილს დაიჭერს ევროპის თანამედროვე კლინიკებს შორის.

წინასწარ გიხდით მადლობას.

მთხოვნელთა ხელმოწერები თან ერთვის (სულ 500-ზე მეტი ხელმოწერაა)..

დამატებით გაცნობებთ, რომ ინიციატივას სამეგრელოს გარდა ეხმაურებიან გალის, ოჩამჩირის და სხვადასხვა რაიონის მცხოვრებლები, რომელთაც უშუალო შეხება ჰქონიათ აკადემიკოს ეგნატე ფიფიასთან და ლტოლვილები, რომლებიც იმედის თვალით უყურებენ ამ კლინიკის გახსნას.

**საინიციატივო ჯგუფის სახელით,**
**ჩქვალერის თემის საჯარო სკოლის**
**დირექტორი**
**როენა ფიფია.**

# ხმა სვანეთიდან

**რუხის საუნივერსიტეტო კლინიკა იქნება ზემო სვანეთის მოსახლეობისთვისაც ყველაზე ახლოს მდებარე მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული სამედიცინო დაწესებულება, სადაც მოგვიწევს მკურნალობა.**

მადლობა ყველას, ვინც ეს მოიფიქრა და განახორციელა. ეს სამედიცინო ცენტრი აშენდა იმ კუთხეში, სადაც დაიბადა მსოფლიოში გამოჩენილი ქირურგი, აკადემიკოსი ეგნატე ფიფია, რომელიც დიდ ყურადღებას იჩენდა ზემო სვანეთის მოსახლეობისადმი, ორჯერ ჩამოვიდა მესტიაში ცნობილ სპეციალისტებთან ერთად მოსახლეობის ჯანმრთელობის გამოკვლევისა და დახმარების გაწევის მიზნით. ყველა სვანი პაციენტი ემადლიერებოდა მას მესტიასა თუ თბილისში მკურნალობისას.

ზემო სვანეთში ვინც ცნობილი ქირურგი გვყავდა და გვყავს დღესაც, ყველამ ბატონ ეგნატესთან აიმაღლა კვალიფიკაცია...

ყოველივე ამის გამო ზემო სვანეთის მოსახლეობას გვსურს, მადლიერების გრძნობა გამოვხატოთ ამ დიდი პიროვნებისადმი და გთხოვთ რუხის სამედიცინო ცენტრს– საუნივერსიტეტო კლინიკას მიანიჭოთ მსოფლიოში გამოჩენილი ქირურგის, აკადემიკოს ეგნატე კალისტრატეს ძე ფიფიას სახელი.

წინასწარ გიხდით მადლობას.

**მთხოვნელთა ხელმოწერები თან ერთვის (სულ 200 ხელმოწერა)**



# რეჟიმი უნდა გასამართლდეს!

**ცამდე მართალი იყო ბიძინა ივანიშვილი, როცა ბრძანა – რომ არ იყოს „რუსთავი-2“, ქვეყანაში საქმე კარგად იქნებოდაო.**

**დემაგოგიაა, როცა მავანი და მავანი „დემოკრატიის მცველები“ ცდილობენ, იქილიკონ, რომ ერთ ტელეარხს როგორ შეუძლია კარგი ქვეყანა ცუდად მოგაჩვენოსო.**

**მთავარია ფაქტები და არგუმენტები.**

**ყველაზე დიდი არგუმენტია ის, რომ ერთი წვეთი შხამი ერთ კასრ თაფლს... პირდაპირ „რ-2“-ზე რომ გადმოვიტანოთ – ერთი წვეთი ფეკალია ერთ ქვევრ ღვინოს და ერთ ჩაფ წყაროს წყალს ბილწავს. სხვა სიტყვებით – ნეგატივს დიდი და მეტი ძალა აქვს!**

თუ კიდევ უფრო ჩავუღრმავდებით, „რუსთავი-2“ ერთდროულად შხამიც არის და ფეკალიაც და თანაც თითო წვეთზე გაცილებით მეტი. ეს არის – დეზინფორმაცია, ტყუილი, სიძულვილი, მტრობა, ცილისწამება, შეურაცხყოფა, ბილწსიტყვაობა და ათასი სიბინძურე.

უბედურება ის არის, რომ ამ ყველაფერს მაყურებელმა, დროთა განმავლობაში, ყური შეაჩვია და მათი გარკვეული ნაწილი ვერც კი აცნობიერებს, რომ თანდათან ექვემდებარება ე.წ. ტვინის გამორეცხვას. ამის ნათელი გამოხატულებაა საპრეზიდენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერთა გაზრდილი რაოდენობა.



ჩვენს სამშობლოში საქმე რომ გაცილებით კარგადაა, ვიდრე ექვსი წლის წინ იყო, „ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი მოწინააღმდეგეებიც ვერ უარყოფენ: ადამიანის უფლებების, სიტყვის თავისუფლების და დემოკრატიის მხრივ ბევრ ევროპულ და ნატოს წევრ სახელმწიფოს ტოლს რომ არ ვუდებთ, აღიარებული ფაქტია; ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის კუთხით ხომ ცა და დედამიწაა; მთავარი გამოწვევა დღესაც სიღარიბეა, მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ და ვაღიაროთ, რომ ღარიბთა რიცხვი 350000 ადამიანით შემცირდა (2013 წლამდე იყო 1150000).

ეკონომიკა რომ სუსტია, სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ყველაფერი ხომ ფარდობითია? ქვეყანაში, რომელიც ოცდაათი წლის განმავლობაში უმოწყალოდ იძარცვებოდა, ერთი ხელის დაკვრით საქმე ვერ გამოსწორდებოდა, მაგრამ ყველა საერთაშორისო კვლევის მიხედვით, მნიშვნელოვანი წინსვლა რომ გვაქვს და ეკონომიკის ზრდის კუთხით რეგიონში ერთ-ერთი მოწინავე ვართ, ესეც რეალობაა. ამის ერთ-ერთი ინდიკატორი ტურიზმის ხუთმაგი ზრდაა. ტურიზმის ზრდა, იმავდროულად, უსაფრთხო გარემოსა და დაცულობის ინდიკატორიცაა, რაც ასევე აღიარებული ფაქტია...

**ᲐᲦᲐᲠ ᲒᲐᲕᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲩᲔᲛᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲗᲔᲛᲐ ᲡᲮᲕᲐᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲘᲙᲔᲗᲔᲛ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲧᲝᲤᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ, ᲣᲤᲠᲝ ᲥᲛᲔᲓᲘᲗᲘ ᲐᲡᲐᲮᲕᲐ ᲠᲝᲛ ᲰᲞᲝᲕᲝᲡ, ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲛᲝᲑᲘᲚᲘᲖᲔᲑᲐᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ. ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲛᲔᲓᲘᲐᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲐ. ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲘᲛᲐᲨᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲡ, ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲡ ᲓᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ᲛᲘᲔᲬᲝᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲖᲔ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲞᲝᲕᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲚᲘ ᲐᲦᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ – ᲔᲡᲔᲪ ᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ.**

საზოგადოებას, ეტყობა, პერიოდულად სჭირდება იმის შეხსენება, თუ რას წარმოადგენს „ნაციონალური მოძრაობა“, რომლის იდეოლოგიური საყრდენი და მთავარი გამწევი ძალაცაა „რუსთავი-2“.

ცხრაწლიანი დანაშაულებრივი რეჟიმი სრულიად გამიზნულად და გაცნობიერებულად (სისტემურად) კლავდა, აწამებდა, აუპატიურებდა, სახლში უვარდებოდა, ქონებას ართმევდა, ბიზნესს არეკეტებდა, თავისუფალ სიტყვას და აზრს ჩანასახშივე ახშობდა, ისაკუთრებდა ან ხურავდა მედიასაშუალებებს, სახელმწიფო ხაზინას ანიავებდა და ძარცვავდა... რაც ყველაზე მთავარია - წინასწარ გათვლილი გეგმით, მოღალატეობრივად, მეზობელ მტრულ სახელმწიფოს „ხონჩით მიართვა“ ქვეყნის ტერიტორიების 20 პროცენტი.

ზემოთ ჩამოთვლილ დანაშაულებში ლომის წილი „რუსთავი-2“-ზე მოდის!

მე დიდი ხანია, აღარ ვუყურებ „რუსთავი-2“-ს, მაგრამ ყოველწუთიერად ვგრძნობ, რომ მისი საცეცები მაინც მწვდება და სულს მიხუთავს, ნერვულ უჯრედებს მინადგურებს, ე.ი. მკლავს ნელი სიკვდილით, რადგან თავმოყვარეობა და ღირსება ძვირად მიღირს, რადგან ეს ქვეყანა, რომელსაც ლამაზი სახელი - საქართველო ჰქვია, მიყვარს და მისი პატრიოტი ვარ, რადგან უზნეობის და უხამსობის ერთი გამოვლინებაც, თუნდაც ამას სხვების მიმართ სჩადიოდნენ, შეუწყნარებელ ამბად, მოვლენად მიმაჩნია... ასე მზრდიდნენ ჩემი მშობლები, ამას გვასწავლიდნენ ჩვენი დიდი წინაპრები...

თვალს ვერ დავხუჭავ და ვერ შევეგუები, რადგან „გატარება“ და გატანინება დანებებას ნიშნავს, მოქალაქის ვალზე უარის თქმას ნიშნავს, ქვეყნის ინტერესთან ზურგშექცევით დგომას ნიშნავს.

რა უნდა გააკეთო კაცმა, როგორ უნდა დაუპირისპირდე ქვეყნის ნგრევაზე მომართულ ამ ბოროტების მანქანას, როცა კანონმორჩილი მოქალაქე ხარ და დეზინფორმაცია, ტყუილი, შეურაცხყოფა, ცილისწამება კანონით დასჯადი არაა?

როგორც ერთმა რიგითმა ქართველმა, რომელიც სრულად აცნობიერებს თავის წილ პასუხისმგებლობას ქვეყნის წინაშე, გადავწყვიტე, ავირჩიო სამართლებრივი გზა, როგორც უალტერნატივო გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან და შევუერთდე არაერთხელ (მაგრამ არაორგანიზებულად) გახმოვანებულ მოთხოვნას:

**ᲛᲘᲔᲪᲔᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲡ, ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲣᲚ ᲘᲥᲜᲐᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲣᲚ ᲘᲥᲜᲐᲡ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲛᲡᲬᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘ.**

ᲔᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ, ᲗᲣ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲘᲒᲠᲫᲜᲝᲑᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲡ, ᲗᲣ ᲜᲐᲪᲯᲐᲚᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲮᲔᲕᲐ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲨᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔ ᲓᲐᲛᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲘᲡ ᲢᲐᲚᲦᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲐᲖᲕᲘᲠᲗᲓᲔᲑᲐ.

**ᲠᲔᲟᲘᲛᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲓᲔᲡ!!! ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲡᲐᲯᲝᲜ!!!**

**ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲓᲕᲐᲚᲘ**
12.02.2019

ჩვენი გაზეთის გუშინდელი ნომრის მეორე გვერდზე დაიბეჭდა წერილი: **„სომეხი მეღვინეები.: საქართველო, როგორც კონკურენტი, ჩვენთვის წარსულშია“,** რომლის გვერდით **ხაჩიკ ავლაბარსკის** გვარით გამოქვეყნდა წკეპლიკა „მესროპმაშტოცური ოინი“. წერილშიც და წკეპლიკაშიც ლაპარაკია **„სომეხ მეღვინეთა“ თავკაცის ავაგ არუტუნიანის უსირცხვილო საქციელზე** – სომხური ღვინო თავისი სიძველითა და ხარისხით მსოფლიოში პირველ ადგილზეაო. ქართული ღვინო ჩვენს ღვინოსთან რა მოსატანიაო.
თითქოსდა ამ არუტუნიანის გასაბითურებლად აგერ გუშინწინ იაპონიაში 24 ქართულმა ღვინომ უმაღლესი ჯილდოები მოიპოვეს – სულ ოქროები და ვერცხლები.
გესმის, არუტუნიანჯან?! 24 კი არა, იაპონიაში გამართულ ამ მსოფლიო კონკურსზე **სომხური ღვინო საერთოდ ნახსენებიც არ ყოფილა!**



# იაპონიაში, „საკურას“ კონკურსზე, 24-მა ქართულმა ღვინომ უმაღლესი ჯილდოები მიიღო

**სხვადასხვა დასახელების ქართულმა ღვინომ იაპონიაში, საერთაშორისო კონკურსზე „საკურა“ უმაღლესი ჯილდოები მოიპოვა: 2 ორმაგი ოქრო, 15 ოქრო და 7 ვერცხლის მედალი. ამის შესახებ „კომერსანტს“ ღვინის ეროვნული სააგენტოდან აცნობეს.**

საერთაშორისო კონკურსი „საკურა“ (The 6rd „Sakura“ Japan Women's Wine Awards 2019) მასშტაბური ღონისძიებაა, რომელიც წელს მეექვსედ ჩატარდა. მასში 33 ქვეყნის ოთხი ათასზე მეტი სხვადასხვა დასახელების ღვინო იყო წარმოდგენილი. კონკურსის ჟიური დაკომპლექტებულია იაპონიაში ღვინის სფეროში მოღვაწე ქალბატონებით – სომელიეებით, ღვინის მწერლებითა და ჟურნალისტებით.

### ორმაგი ოქრო:

**„შალვა გვარამაძის მეღვინეობა“ – „საფერავი“;**
**„მეღვინეობა ვაზიანის“ ხაზი „მაყაშვილის ღვინის მარანი“ – „ქისი 2017“;**

### ოქრო:

**„მეღვინეობა ბესინი“ – ქინძმარაული, პრემიუმი 2017;**
**მეღვინეობა ბესინი“ – მუკუზანი, 2017;**
**„ბოლერო და კომპანია“ – დაისი, ქისი, ქვევრი 2018;**
**„დუგლაძეების ღვინის კომპანია“ – საფერავი რეზერვი 2014;**
**„შალვა გვარამაძის მეღვინეობა“; – წარაფი;**
**„ვაზი+“ (მეღვინეობა ბინეხი) – რქაწითელი, ქვევრი, 2015**
**ვაზი+ (მეღვინეობა ბინეხი) – საფერავი, ქვევრი 2014;**
**ვაზი+ (მეღვინეობა ბინეხი) – საფერავი, რეზერვი 2017;**
**„მეღვინეობა ვაზიანის“ ხაზი „მაყაშვილის ღვინის მარანი“ – საფერავი 2015;**
**„მეღვინეობა ჩელთი“ – ჩელთი 2018;**
**„მეღვინეობა ჩელთი“ – ჩელთი 2015;**
**„მეღვინეობა ჩელთი“ – ჩელთი, ქვევრი, 2015;**
**„მეღვინეობა ჩელთი“ – ჩელთი, ქვევრი, 2016;**
**კორპორაცია „ქინძმარაული“ – ალაზნის ველი 2016;**
**„შალაურის ღვინის მარანი“ – რქაწითელი 2014;**

### ვერცხლი:

**„მეღვინეობა ვაზიანი“ – საფერავი, კაბერნე, 2017;**
**„მეღვინეობა ბესინი“ – ბესინი, ქვევრი თეთრი, 2017;**
**„ბოლერო და კომპანია“ – დაისი, რქაწითელი, ქვევრი 2018;**
**„დუგლაძეების ღვინის კომპანია“ – მუკუზანი, 2016;**
**„დუგლაძეების ღვინის კომპანია“– ცქრიალა „ბრუტი“;**
**„მეღვინეობა ვაზიანის“ ხაზი „მაყაშვილის ღვინის მარანი“ – ხიხვი, 2017;**
**„მეღვინეობა ვაზიანის“ ხაზი „მაყაშვილის ღვინის მარანი“ – მწვანე 2017.**

„საკურას“ კონკურსში „ორმაგი ოქროს“ ჯილდოს მფლობელი ღვინოები წარდგენილი იქნება 2018 წლის 5 მარტს საერთაშორისო გამოფენაზე Foodex Japan-ზე, უმაღლესი ჯილდოს – „ბრილიანტის“ (Diamond Trophy) მოსაპოვებლად.

მსგავს პრესტიჟულ კონკურსებში გამარჯვება ხელს შეუწყობს როგორც კონკრეტული კომპანიის, ასევე ზოგადად ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდას, პოპულარიზაციასა და დამკვიდრებას იაპონიის ღვინის ბაზარზე. იაპონია ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზარს წარმოადგენს, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტო მარკეტინგულ ღონისძიებებს 2014 წლიდან ახორციელებს. გასულ წელს იაპონიაში 212 ათასამდე ბოთლი ღვინო იყო ექსპორტირებული, რაც 37%-ით აღემატება 2017 წლის მონაცემს.

იაპონიაში ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, 2019 წლის 10 მარტიდან 7 მაისამდე მასშტაბური პროექტი „საქართველო – ღვინის სამშობლო“ გაიმართება.

# გეოგრაფია მხოლოდ სტიქიური უბედურების დროს არ უნდა გვახსენდებოდეს!

## შეშფოთებული საზოგადოება განათლების მინისტრს მიმართავს

სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი განათლების სისტემაში ბოლო დროს დაანონსებულ რეფორმასთან დაკავშირებით განათლების მინისტრ მიხეილ ბატიაშვილსა და პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარეს მარიამ ჯაშს მიმართავს.

მიმართვაზე ხელმომწერები ფიქრობენ, რომ რეფორმა გამოცდების მოხსნით ან დანიშვნით არ უნდა იწყებოდეს – ჯერ უნდა იცვლებოდეს სტანდარტი, პროგრამა, სასწავლო გეგმა, ხედვა, მიდგომა, სახელმძღვანელოები, ინერგებოდეს სიახლე, იზრდებოდეს მასწავლებელთა კვალიფიკაცია და შემდეგ შეფასდეს შედეგი გამოცდით ან შეფასების სხვა სანდო ინსტრუმენტით. წერილის ხელისმომწერები შემაშფოთებლად მიიჩნევენ ტენდენციას, რომ საქართველოში სულ უფრო ნაკლები ყურადღება ექცევა საბუნებისმეტყველო საგნებს. მათ შორის, გეოგრაფიასაც.



**„გეოგრაფია და გეოგრაფები ხელისუფლებას მხოლოდ სტიქიური უბედურების დროს ახსენდება. ასე იყო, მაგალითად, მდინარე ვერეს სტიქიის დროს. სხვა დროსაც... მაშინ მიმართავენ გეოგრაფიის ინსტიტუტს, გეოგრაფიულ საზოგადოებას, ამა თუ იმ დარგის სპეციალისტ გეოგრაფებს. ითხოვენ კომენტარს, შეფასებას, პროგნოზს, არადა ანალიზისთვის სისტემატური სამეცნიერო მუშაობაა საჭირო. თვალსა და ხელს შუა იკარგება ისეთი ძლიერი სკოლები, რომლებიც გეოგრაფიის სხვადასხვა მიმართულებით არსებობდა. დანგრეულის აღდგენა კი მერე ძალიან რთულია“,** – ვკითხულობთ მიმართვაში.

წერილს უკვე 230-ზე მეტი ხელმომწერი ჰყავს. მათი განცხადებით, დღეს რეპეტიტორები სწორედ იმიტომ არსებობენ, რომ სკოლაა სუსტი. სწორედ რეპეტიტორები ავსებენ სკოლის შავ ხვრელებს. თუმცა, განათლების სფეროში ჩატარებული კვლევები და ფეისბუქგამოკითხვები სხვას ამბობს: ყველაზე ხშირად და ყველაზე დიდხანს ახალგაზრდები ინგლისურში, ქართულსა და მათემატიკაში ემზადებიან. გეოგრაფიასა და სხვა საბუნებისმეტყველო საგნებს ყველაზე ნაკლებად ასახელებენ.

**„როცა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო თავად ასახელებს ორ სავალდებულო და მესამე ნაწილობრივ არჩევით საგანს, რომელშიც, აბიტურიენტს მწირი არჩევანი აქვს (მხოლოდ მათემატიკა ან ისტორია), ვფიქრობთ, რომ ახალგაზრდებს ვართმევთ არჩევანის უფლებას. თუ სოციალური გათანაბრებისთვის ვიბრძვით, აბიტურიენტებს უნდა მივცეთ საშუალება, აირჩიონ არა სამინისტროს მიერ დასახელებული სამი, არამედ მათთვის სასურველი საგნები“,** – წერია მიმართვაში.

წერილის ავტორები გადაწყვეტილების მიმღებ პირებს სთავაზობენ, რომ ისინი ჩაერთვებიან სტრატეგიის, ხედვების, რეფორმასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დისკუსიაში. მათი განცხადებით, ახალგაზრდებს არჩევანი უნდა ჰქონდეთ, რომ აბიტურიენტებმა, მისაღებ გამოცდაზე თავად აირჩიონ საგანი, რომელიც ყველაზე მეტად უყვართ და იციან, რომ ეს საგანი მათ მომავალ საქმიანობას ყველაზე მეტად სჭირდება.

⊙ წერილი რედაქციას

# შევინარჩუნოთ სვანეთი, გავუფრთხილდეთ საქართველოს!

**ხელისუფალნო, ნუთუ ეკლესიის, მამა-პაპათა საფლავების გადატანა ძირძველი ადგილებიდან, ადამიანთა გადასახლება, ტყეების გაჩეხვა, დატბორილი სახნავ-სათესები თანაზომადია თქვენს მილიარდიან კომპენსაციასთან? მინდა, შეგახსენოთ, რომ თავის დროზე კომუნისტებმაც კი უარი თქვეს ხუდონჰესის მშენებლობაზე. სამაგიეროდ, წყლით უმდიდრეს ჩვენს ქვეყანაში პატარა ჰესების მშენებლობა, მაღალპროფესიონალი ენერგეტიკოსების აზრით, ყოველმხრივ გამართლებულია!**



ნუ გვავიწყდება, რომ ბუნება მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის, არა მარტო როგორც საარსებო საშუალება, არამედ როგორც კულტურული ყოფიერების პირობა. ადამიანი იმყოფება, ერთი მხრივ, უშუალო, დეტერმინირებულ დამოკიდებულებაში ბუნებასთან, მეორე მხრივ, იგი ცდილობს განთავისუფლდეს ამ დაქვემდებარებული დამოკიდებულებისაგან, ჩააყენოს ბუნება თავის სამსახურში, აიძულოს, ემსახუროს მას.

ადამიანს უნდა ჰქონდეს ბუნებასთან ურთიერთობის გარკვეული წესი, რომელიც გულისხმობს შესაბამისობას ადამიანის მზარდ მოთხოვნილებებსა და ბუნების შესაძლებლობებს შორის და რომელსაც მნიშვნელობა აქვს მაღალი ეთიკური ნიშნით. სწორედ ამ წესის დარღვევა იწვევს ეკოლოგიურ კატასტროფებს. ნუ ხელყოფთ სვანეთის მშვენებას, ის ხომ მთლიანად საქართველოს მშვენებაა! არ დავუშვათ, რომ სვანეთის გლოვის ზარებმა დარეკოს საქართველოში!

**ლონდა მდივანი**

# როცა დახარჯულ ფულსა და საქმეს შუა უზის დიდი ზღვარი...




## ჯანდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგიული დოკუმენტი არ გააჩნია

*საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია არ გააჩნია.*

***„აქცენტმა“*** *უწყებიდან საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიები, ხოლო მათი არარსებობის შემთხვევაში სტრატეგიებთან გათანაბრებული ან სხვა ტიპის სახელმძღვანელო დოკუმენტები, აღნიშნული სტრატეგიების სამოქმედო გეგმა და მისი მთლიანი ბიუჯეტები გამოითხოვა.*

*სამინისტროში მიმართვის პასუხად გვიპასუხეს, რომ* ***„მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ეტაპზე კომუნიკაციის სტრატეგიული დოკუმენტი არ გააჩნია“.***

***„აქცენტმა“*** *საკითხზე კომენტარი „სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრი – საქართველოს“ ხელმძღვანელს* ***გიორგი მოლოდინს*** *სთხოვა:*

– 2018 წლის ოქტომბერში პრემიერმა ბახტაძემ განაცხადა, რომ სახელმწიფომ მილიონ ლარზე მეტი მიიღო ამერიკის შეერთებული შტატებისგან, ქვეყანაში, სტრატეგიული კომუნიკაციების გაძლიერების მიზნით. უფრო მანამდე, სტრატეგიული კომუნიკაციების გაძლიერების საქმეში აქტიურად მონაწილეობდა დიდი ბრიტანეთი, რომელმაც მთავრობა მრჩევლებით ორჯერ უზრუნველყო ეროვნულ დონეზე.

გარდა ამისა, ყოფილმა პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა საზეიმოდ გახსნა ხელისუფლების საშუალო და მაღალი თანამდებობის პირთა ტრენინგის გრძელვადიანი კურსი, რომელიც ასევე აშშ-ის ფინანსური დახმარებით, კონკრეტულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ განახორციელა. სულ ცოტა, უხერხულია პარტნიორთან და მეგობარ ქვეყნებთან. წლები გადის, ფულს ვითვისებთ, ტრენინგებს ვატარებთ, სტრუქტურულ ერთეულებს ვქმნით და შედეგად მივიღეთ კარჩაკეტილი საჯარო მოხელეების ჯგუფი, რომლებსაც სწყინთ, როცა თავიანთ მოვალეობებს შეახსენებ.

**საჯარო სამსახურში, სტრატეგიული კომუნიკაციების თემისადმი მსგავსმა არასერიოზულმა დამოკიდებულებამ შედეგად მოგცა ის, რომ ამ კონკრეტული დისციპლინის (სტრატკომის) მნიშვნელობა ამ რთულ საინფორმაციო და ზოგადად უსაფრთხოების გარემოში სულ გაუფერულდა.** მიუხედავად ამისა, იმედს ვიტოვებ, რომ პარტნიორები ანალოგიური მონდომებით გააგრძელებენ ჩვენს მხარდაჭერას, რადგან საინფორმაციო გარემო ჩვენს გარშემო სულ უფრო რთულდება, იმატებს ანტიდასავლური განწყობების გავრცელების წახალისება. რუსეთის ფედერაციის სამხრეთ სამხედრო ოლქი, მასზე დაკისრებული სამხედრო ამოცანების გარდა, მშვიდობიანობის დროს, საქართველოში სხვადასხვა საინფორმაციო-პროპაგანდისტული საქმიანობითაც არის დაკავებული, მათ შორის, საქართველის ხელისუფლების სამშვიდო პოლიტიკის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობითაც.

სულ რაღაც ერთი თვის წინათ საქართველოში ჯანდაცვის საკითხი გასცდა ზოგადად ჯანდაცვას და ფაქტობრივად, უსაფრთხოების საკითხს დაუკავშირდა – კერძო პირები და არასამთავორობო ორგანიზაციები იგერიებდნენ ლუგარის ლაბორატორიის გარშემო პრორუსულ პროპაგანდას სოციალურ ქსელებში. ამ თემაზე, **„საინფორმაციო თავდაცვის ლეგიონის“** დოკუმენტური ფილმი 100.000 ადამიანზე მეტმა ნახა. ეს ფილმი ქვეყანაში დაწყებული ანტივაქსერული ისტერიის საპირწონედ გავაკეთეთ ჩვენი ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყენებით, მოხალისეების დახმარებით. ჩვენი არაერთგზისი თხოვნის მიუხედავად, ჯანდაცვის სამინისტრომ კომენტარისთვის ვერ მოიცალა“ – განუცხადა „აქცენტს“ გიორგი მოლოდინმა.

„აქცენტმა“ უწყებიდან ასევე გამოითხოვა ინფორმაცია სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის ან/და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი სხვა სტრუქტურული ერთეულების თითოეული თანამშრომლის მიერ აღებული თანამდებობრივი სარგოს, პრემიის, დანამატის შესახებ.

**ჯანდაცვის უწყებიდან მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ ამ მიმართულებით მომუშავე მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თავმჯდომარემ მაია თაბაგარმა ანაზღაურების სახით 2018 წლის იანვრიდან აგვისტოს თვის ჩათვლით ჯამში 35 200 ლარი აიღო. 2018 წლის სექტემბრის თვიდან დღემდე თაბაგარი საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურს ხელმძღვანელობს.**

სამმართველოს უფროსმა ნინო მამალაძემ, რომელიც თაბაგარის პრემიერის აპარატში გადასვლის შემდეგ, დეპარტამენტის უფროსის მოვალეობას ასრულებდა, 2018 წელს ჯამში ანაზღაურების სახით 45, 537.25 ლარი მიიღო. სამმართველოს უფროსმა სოფიო უმიკაშვილმა კი – 40,734.17 ლარი.

**როგორც უწყებიდან მოწოდებული დოკუმენტიდან ირკვევა, სხვა და შტატგარეშე თანამშრომლებზე 2018 წელს ზემოაღნიშნულ დეპარტამენტში ანაზღაურების სახით ჯამში 772 292.43 ლარი გაიცა.**

# ბედის ირონია

**ამ მშვენიერ ვაჟკაცს, ახლა სურათზე რომ ხედავთ, საოცრად ლამაზი და სევდიანი ბიოგრაფია აქვს. სამტრედიაში დაიბადა, იქ გაატარა ბავშვობა, უკვე მერვე კლასიდან იცოდა, საით უნდა წაეყვანა თავისი ცხოვრება, რა პროფესიას დაუფლებოდა! ძლიერ უყვარდა მშობლიური სამტრედია, ის მიწა, რომელზეც ხელუკუღმა დათესილი წაღმა რომ ამოყვავილდება, რომელშიც ყაირათიანი და მიწის ერთგული გლეხის ჩაღვრილი ოფლის წვეთიც კი ტყუილუბრალოდ არ იკარგება და შედეგად, თვალის გასახარად, მწვანედ ახასხასებული და აბიბინებული სიმინდისა თუ პურის ყანები, ბოსტნეულის ბაღები თუ, რაც გინდა რა, ყოველგვარი მიწის ჭირნახული, გულს უხარებდა იმერელ კაცს.** ასეთი იყო მამულის, კერძოდ კი, სამტრედიის მიწა. ქართული ტრადიციებითა და ზნე-ჩვეულებებით გაზრდილს კარგად ესმოდა მისი წინაპრები მომთაბარეები კი არა, მიწათმოქმედნი და სოფლის მშენებლები რომ იყვნენ და მათ კვალზე, მანაც სოფლის მეურნეობის სპეციალისტობა მოინდომა, სამომავლოდ აგრონომია იყო ის დარგი, რომელზეც ოცნებობდა, ამ დარგში განათლებამიღებულს, ისევ სამტრედიისათვის, ისევ საქართველოსათვის უნდოდა თავისი ცოდნა და შრომა მიეძღვნა, საამისოდ მკლავიც უჭრიდა, ძალაც ჰქონდა და, რაც მთავარია, – თავიც და ნიჭიც! ოღონდ საყვარელ დარგს დაუფლებოდა. მაგრამ ბედ-იღბალმა სულ სხვა მხარეში, სულ სხვა გზით მოისროლა!..

გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, 18 წლის ყმაწვილი ავთანდილ გოგუაძე იმდროინდელ სავალდებულო ჯარში გაიწვიეს. სხვა გაწვეულებთან ერთად ციმბირში ამოყო თავი. ბედის ირონიაო, რომ იტყვიან, სწორედ ეს იყო! თუმცა, მერე რა! ახალგაზრდის გულს დარდი არ ეკარებოდა. მალე მოხდა ისე, რომ, უფროსობის ყურადღება მიიპყრო მისმა ათლეტურმა აღნაგობამ, ვაჟკაცურმა სილამაზემ, სხარტმა გონებამ და წესრიგისადმი მიდრეკილებამ. და იგი რიგითებიდან გამოარჩიეს, საფრენოსნო ხელოვნების დასაუფლებლად გაგზავნეს. ნიჭიერი კაცი ყველგან და ყველაფერში ნიჭიერიაო, იტყვიან. აქაც ასე მოხდა. ფრენოსნობა შეისწავლა, შეისწავლა რომელია, საუკეთესო მფრინავი დადგა, სულ წინ, წინ მიდიოდა, რიგითი მფრინავიდან კაპიტნობას მალე მიაღწია და ასე შემდეგ, სულ ჯილდოებით მივიდა პოლკოვნიკობამდე. მარტო ჩინი რისი მაქნისია თუ საქმეში პასუხისმგებლობა არა გაქვს! არ შეიძლებოდა, რომ არ შეემჩნიათ ამ ზრდილი ვაჟკაცის პროფესიონალობა, საქმისადმი ერთგულება, გამორჩეულობა, ამიტომ ჩააბარეს გუნდი მფრინავებისა, რომელიც სახელმწიფოს უშუალო დავალებებით მოქმედებდა, და ცის ტატნობის უცნაურ გზა-კვალზე მთავრობის წარმომადგენლებს გადააფრენ-გადმოაფრენდა ხოლმე უხარვეზოდ და საიმედოდ! ბოლოს კლინსა და მოსკოვში ცხოვრობდა, არ იყო ადვილად მისაწვდომი, თორემ რა ჯობდა მასთან საუბარს. ალბათ, რამდენი რამის მოყოლა შეეძლო...



სულ ახლახან, საკმაოდ ასაკოვანი, თავის სამტრედიას დაუბრუნდა. ძმისშვილებმა ჩამოიყვანეს შორეული კლინიდან და დაავანეს მშობლიურ ქალაქში. გაგვიხარდა, ის იყო, რომ მოსანახულებლად უნდა წავსულიყავით, როცა მოულოდნელად მისი გარდაცვალებაც გავიგეთ.

ჩვენი, კერძოდ კი, სამტრედიელთა საამაყო კაცის – ავთანდილის ცხოვრებაში უამრავი რამ იყო სამწუხაროც და სასიხარულოც, მაგრამ აღსანიშნავი მაინც ბედის ირონიაა: ქართული მიწის, ქართული სოფლის მეურნეობის თაყვანისმცემელი უცხოური ზეცის ავბედიანი გზების სახელოვანი მფრინავი გახდა! იქ შორეულ კლინში ათეული წლები ცხოვრობდა! დიდი ავტორიტეტი და იქ მცხოვრებთა სიყვარული მოიპოვა, მაგრამ საბოლოოდ მისმა სულმა განსასვენებლად საკუთარი მშობლიური მიწა აირჩია... უნდა გვახსოვდეს ასეთი ქართველები, პიროვნებები, რომლებმაც თავიანთი ნიჭით, გნებავთ, პროფესიონალიზმით, ადამიანობით და კაცობით ქართველთა ჯიშისა და მოდგმის პატივისცემა და სიყვარული ჩანერგეს შორეულ თუ ახლო უცხოელთა შორის, ინტერესი გააჩინეს ქართველი კაცის წარმოშობისა და ისტორიის შესასწავლად. საბედნიეროდ, ცოტა როდი გვყავს ასეთი. მათზე ერთი კრებული მაინც უნდა შეიქმნას თავისი პორტრეტებით, თუმცა, რომელ სურათს შეუძლია გადმოგვცეს ის სილამაზე და ვაჟკაცური იერი, რაც ავთანდილს ჰქონდა. ვამაყობ, რომ იგი ჩემი უახლოესი ნათესავი (ბიძაშვილი) იყო, ვამაყობ იმითაც, რომ ავთანდილს და მე გვყავდა კიდევ ერთი ბიძა – შალვა (ჭიჭიკო) გოგუაძე, საოცრად ლამაზი და ახოვანი ახალგაზრდა, რომელმაც, როგორც მზვერავმა თავი ისახელა მეორე სამამულო ომში. სამარადისო ხსოვნა მათ სახელებს!

**გულნარა სტურუა**

## ჯანდაცვის სამინისტრო 110 დევნილ ოჯახს იპოთეკურ სესხს დაუფარავს

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო იპოთეკურ სესხს კიდევ 110 დევნილ ოჯახს დაუფარავს. ამ თემასთან დაკავშირებით, მინისტრის მოადგილემ გრიგოლ გიორგაძემ ბრიფინგი გამართა. მინისტრის მოადგილის განცხადებით, „დევნილი ოჯახებისთვის იპოთეკური სესხის დაფარვის“ პროექტი 2015 წლიდან დაიწყო და წარმატებით ხორციელდება. ამ დრომდე, სამინისტრომ სესხი უკვე 375 დევნილ ოჯახს დაუფარა.**

**ამ ეტაპზე, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოს მიერ ერთჯერადი ფულადი დახმარება იმ დევნილ ოჯახებზე გაიცემა, რომლებსაც 2019 წლის პირველ იანვრამდე იპოთეკური სესხით შეძენილი აქვთ სახლი/ბინა, რომელიც ოჯახის ერთადერთ საკუთრებას წარმოადგენს. იპოთეკური სესხის დაფარვისათვის ფულადი დახმარების მაქსიმალური ოდენობა ერთ ოჯახზე 20 000 ლარს შეადგენს. 2019 წელს იპოთეკური სესხების დაფარვის პროექტისთვის 2 200 000 ლარი გამოიყო. განცხადების მიღება 14 თებერვალს დაიწყო და 15 მარტის ჩათვლით გაგრძელდება.**

# აკადემიკოსის ფილოლოგიური

*დეკემბრის მიწურულს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ შესანიშნავი შევსება მიიღო: მისი წევრი კიდევ 13 გამორჩეული მეცნიერი გახდა, რომლებიც დარგობრივად რვა განყოფილებას წარმოადგენენ.*

*წინამდებარე წერილით რედაქცია ერთობ მასშტაბურ პროექტს იწყებს, რომლის მიზანია საზოგადოებრიობას წარუდგინოს ახლადარჩეული აკადემიკოსები, მათი ერთგვარი პიროვნული პორტრეტები წარმოაჩინოს სამეცნიერო მოღვაწეობის ფონზე.*

*დარწმუნებული ვართ, არავინ შეგვედავება იმაში, რომ აკადემიის ახალი წევრების დიდებული გუნდის ჭეშმარიტი მშვენებაა ქალბატონი ინესა მერაბიშვილი, რომელიც დღევანდელი წერილის გმირი გახლავთ.*

*თავდაპირველად მკითხველს შევახსენებთ აკადემიის წევრად არჩევის მოთხოვნის მთავარ ამონარიდს: „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მოღვაწე მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე მეცნიერი, რომელსაც საერთაშორისო დონის წვლილი აქვს შეტანილი მეცნიერების განვითარებაში“.*



ქალბატონი ინესა მერაბიშვილი და ლორდ ბაირონი ვერსალის კონფერენციაზე

აკადემიკოსი ინესა მერაბიშვილი არის ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, ოცი წიგნისა და მონოგრაფიის ავტორი. ის სისტემატურად მონაწილეობს როგორც ლორდ ბაირონის, ასევე თარგმანისა და ლინგვისტიკისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციებში. მოხსენებები და ლექციები წაკითხული აქვს მრავალ უმაღლეს სასწავლებელში, მათ შორის ლონდონის, ნოტინგემის, ლივერპულის, მანჩესტერის, ედინბურგის, სენტ-ენდრიუსის, დუბლინის, ათენის, პარიზის, ვერსალის, მადრიდის, როტერდამის, მოსკოვის, ლენინგრადის, ერევნის, კიოტოს, გდანსკის, ნიუ-იორკის, დელავარისა და ჰარვარდის უნივერსიტეტებში. იგი არის არაერთი საერთაშორისო საზოგადოების ნამდვილი და საპატიო წევრი, აგრეთვე, დიდი ბრიტანეთის პოსტკონფლიქტურ კულტურათა კვლევის საერთაშორისო კონსორციუმის დირექტორთა საბჭოს წევრი.

მის მიერ განვითარებულმა პოეტური ტექსტის შინაარსობრივი ანალიზის მეთოდოლოგიამ საშუალება მისცა მას გამოეკვლია, და რაც მთავარია, აეხსნა გალაკტიონის უჩვეულო შესიტყვებები და სიმბოლოები, რაც მნიშვნელოვან სიახლედ მოგვევლინა ქართულ ფილოლოგიაში. ეს კვლევა ასახულია მის ორ მონოგრაფიაში – „გალაკტიონის ენიგმები“, 2003 და „გალაკტიონის Meri – პროტოტიპის ძიებაში“, 2012. ლექსის შინაარსობრივი ანალიზის მისეული ახალი სისტემა ავტორმა თავად მიუყენა თარგმანის ფენომენს, რამაც საშუალება მისცა, შეექმნა თარგმანის ახალი თეორია, რომელმაც დიდი მხარდაჭერა პოვა დასავლეთში. ასე შეიქმნა კიდევ ორი მონოგრაფია – „პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა“, 2005 და „თარგმანი – კულტურათა დიალოგი“, 2005.

ლექსის თეორიულ ანალიზში გავარჯიშებამ, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, ინგლისურ პოეზიაზე ხანგრძლივმა მუშაობამ, ინესა მერაბიშვილს გალაკტიონ ტაბიძის ინგლისურ ენაზე თარგმნის პირობა შეუქმნა. დიდ გარჯას საუცხოო შედეგი მოჰყვა: ბრიტანეთში მისი ნათარგმნი გალაკტიონის ორი კრებული გამოიცა, რომელმაც იქაურ აკადემიურ საზოგადოებაში მაღალი შეფასება დაიმსახურა. მეტიც: ბრიტანული აკადემიური და დიპლომატიური წრეების თაოსნობით, ლონდონში ჯერ 2011 წელს, ხოლო შემდეგ 2017 წელს ჩატარდა გალაკტიონის საიუბილეო სხდომები, სადაც მთავარი მომხსენებელი ქართველი პროფესორი გახლდათ. ლონდონში გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექციების მიზანი იყო ქართველი პოეტის, როგორც მსოფლიოს უდიდესი მოაზროვნის წარმოჩენა, რომელიც სიკეთესა და ალმავლობას სთავაზობს კაცობრიობას თავის მიერ წარმოსახული სამყაროს შეცნობის გზით. თბილისში კი, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, სწავლულმა ლინგვისტმა საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე – „ბაირონი და გალაკტიონი“. ინესა მერაბიშვილის საჯარო ლექციებს და საზოგადოებრივ მოღვაწეობას კარგად იცნობენ საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ.

გასულ წელს ბრიტანელი დიპლომატების ინიციატივით გალაკტიონის წარდგენა გაგრძელდა ქალაქ სტრასბურგში, კერძოდ, ევროპის საბჭოში, სადაც პროფესორმა მერაბიშვილმა ვრცელი ინგლისურენოვანი ლექცია წაიკითხა გალაკტიონის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ღონისძიება მიეძღვნა გალაკტიონის 125 წლისთავსა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს. ლექციას დაესწრნენ ევროსაბჭოს ოცდაექვსი ქვეყნის ელჩები, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიისა და ვატიკანის დამკვირვებლები ამ ორგანიზაციაში, დიპლომატიური წრეების წარმომადგენლები. მისი დასრულების შემდეგ გაიმართა დისკუსია, რა დროსაც დამსწრეებმა მაღალი შეფასება მისცეს ჩატარებულ კვლევასა და მისეულ თარგმანს, განსაკუთრებული ინტერესი გამოხატეს გალაკტიონის შემოქმედების გაცნობისადმი.

ინესა მერაბიშვილის მიერ გალაკტიონის თარგმნასთან დაკავშირებით უაღრესად საგულისხმოა ინგლისურენოვან ელიტურ მკითხველთა აზრი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ქართული კულტურის ამ გრანდიოზული შემოქმედის გაცნობა გალაქტიკის აღმოჩენის ტოლფასია. მათ შორის, კერძოდ, შეიძლება ინგლისელი პოეტის **დომენიკ ბრაუნის**, ინგლისელი დრამატურგის **ლორდ მერევორსის**, ამერიკელი მწერლის **ჯულია მარკუსის** დასახელება. ამერიკელი იურისტი და დიპლომატი **რობერტ გიბსონი** კი აი რას

ახლა გვინდა ქალბატონ ინესა მერაბიშვილის ბიოგრაფიის რამდენიმე საკვანძო მომენტზე შევჩერდეთ. 1967 წელს დაამთავრა გორის რუსული მე-6 საშუალო სკოლა მედალზე, 1972 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთევროპული ფილოლოგიის ფაკულტეტი წარჩინებით, მომდევნო წელს გახდა ამავე ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრის მაძიებელი პროფესორ მერი იანქოშვილის ხელმძღვანელობით. 1978 წელს ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც მიეძღვნა XX საუკუნის ინგლისური და ამერიკული ლექსის ლინგვო-სტილისტიკურ ანალიზს. 1980 წლიდან მუშაობას იწყებს სადოქტორო დისერტაციაზე დიდი რუსი ანგლისტისა და ლექსიკოგრაფის ილია გალპერინის ხელმძღვანელობით. ნაშრომის მიზანია დიდი ინგლისელი პოეტის ჯორჯ გორდონ ბაირონის პოეზიის მაგალითზე ტექსტის ლინგვისტიკური და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის ჩატარება, რაც მალევე ფართო საერთაშორისო მუშაობაში გადაიზრდება. ბაირონით შთაგონებული ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი პარალელურად იწყებს ბაირონის ქართულ თარგმანზე მუშაობას და ეტაპობრივად მისდამი მიძღვნილ ხუთ წიგნს გამოსცემს. სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობის პროცესში საკვლევი ტექსტი სცდება ბაირონის შემოქმედებას და XIX-XX საუკუნეების ქართულ, ინგლისურ და რუსულ პოეზიას მოიცავს. კვლევა პოეტური ტექსტის შინაარსობრივი სისტემის განვითარებასა და ლინგვო-სტილისტიკური ანალიზის ახალი მეთოდოლოგიის შექმნას გულისხმობს.

ენათმეცნიერების თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ინესა მერაბიშვილის კონცეფცია სიტყვის მნიშვნელობის, სემური ანალიზისა და ლინგვისტური ხატის გამოყოფის შესახებ. ეს საკითხი ვრცლად განხილულია მის სადოქტორო დისერტაციაში, რომლის ინგლისურენოვანმა ავტორეფერატმა მსოფლიოს წამყვანი არაერთი დიდი ლინგვისტის მაღალი შეფასება დაიმსახურა. ხოლო, როდესაც ი. მერაბიშვილმა სიტყვის მნიშვნელობის ზემოაღნიშნული კონცეფცია წარადგინა 2016 წელს XVII Euralex-ის საერთაშორისო კონგრესზე თბილისში, მას კვლავ სერიოზული საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა, რაც გამოიხატა პუბლიკაციებისა და ნიუ-იორკის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის „**International Journal of Applied Linguistics and Translation**“ სარედაქციო კოლეგიის წევრობის შეთავაზებებში.

ჯერ კიდევ 1986 წელს სწავლულმა ქალბატონმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტზე დააფუძნა თარგმანის განყოფილება, ხოლო 1990 წელს – ენებისა და თარგმანის კათედრა, რომელსაც თავად ხელმძღვანელობდა.



გრაფი და გრაფინია ლიტონები სტუმრად ბაირონის სკოლის მოსწავლეებთან

1988 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინესა მერაბიშვილმა დააფუძნა საქართველოს ბაირონის საზოგადოება, რომელიც ბაირონის საერთაშორისო ასოციაციამ თავის დამოუკიდებელ წევრად აღიარა. იქიდან მოყოლებული დღემდე ქალბატონი ინესა მერაბიშვილი საქართველოში ამ საზოგადოების პრეზიდენტია, ხოლო 1995 წლიდან ბაირონის საერთაშორისო საზოგადოების დირექტორთა საბჭოს წევრი.

2005-09 წლებში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორი ინესა მერაბიშვილი აფუძნებს სამაგისტრო პროგრამას „თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები“ (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე) და სადოქტორო პროგრამას „თარგმანმცოდნეობა“, რომელთაც დღემდე თავად ხელმძღვანელობს. 2011-12 წლებში იგი სათავეში ედგა თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა ინსტიტუტს, ხოლო 2012 წლიდან დღემდე არის თავისივე დაარსებული თარგმანმცოდნეობის კათედრის ხელმძღვანელი დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია არაერთი სადოქტორო დისერტაცია.



ბაირონის საერთაშორისო კონფერენციის გახსნაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორებთან ჯონ კლაბთან და ნაჯი ოიჯინთან ერთად

ბრძანებს: **„რომ არ მცოდნოდა ჩემ წინაშე თარგმანია, ვიფიქრებდი, ინგლისურ ენაზე შექმნილი ლექსებია... ეს ხომ ძალზე იშვიათი მიღწევაა ნებისმიერ თარგმნილ ლიტერატურაში და, განსაკუთრებით, პოეზიაში. აშკარაა, რომ ინესა მერაბიშ-**

პრეზიდენტის, აკადემიკოს **გიორგი კვესიტაძის** სახელზე უცხოეთიდან ინესა მერაბიშვილის რამდენიმე მხარდასაჭერი წერილი მოვიდა. მათი შინაარსი, ცხადია, განსხვავებულია, მაგრამ ყველა მათგანი ერთი მთავარი იდეითაა გამსჭვალუ-

**საერთაშორისო ასპარეზზე მრავალი მოხსენება და საჯარო ლექცია აქვს წაკითხული, იქნება ეს ლინგვისტიკაში, ბაირონოლოგიაში თუ გალაკტიონ ტაბიძის შესახებ.“**

მსგავსი დითირამბებითაა აღსავსე კიდევ რამდენიმე სარეკომენდაციო წერილი ისეთი მნიშვნელოვანი პიროვნებებისაგან, როგორებიც ბრძანდებიან **ლორდ ბაირონი,** პროფესორი **ჯონ კლაბი,** ბაირონის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი 26 წლის მანძილზე და ბატონი **სტივენ ნეში,** ბრიტანეთის ყოფილი ელჩი საქართველოში. ბაირონის პირდაპირმა შთამომავალმა, ლორდთა პალატის მაღალჩინოსანმა **გრაფმა ლიტონმა** კი ასეთი შეფასება მისცა ინესა მერაბიშვილის მოღვაწეობას თავის წერილში: **„აღსანიშნავია, რომ მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის ღრმა კულტურულ კავშირებს და საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა, გაცილებით უკეთ წარმოეჩინა ქართული კულტურა ჩვენი ქვეყნის წინაშე. პროფესორი მერაბიშვილი არის ის, ვისაც ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ საგანძურს ვუწოდებთ და იგი იმსახურებს, ასეთად იყოს აღიარებული თავის ქვეყანაში“.**

ახლა კი მოდით, თავად აკადემიკოს ინესა მერაბიშვილს მოვუსმინოთ:

**„რომელ ეპოქასა და დროშიც არ უნდა ღრუბელი... აირჩიეთ ორში ერთი — განათლება ან სიკვდილი!..“**

**გალაკტიონი განახლებას ირჩევს და ეპოქის მძლავრ კატაკლიზმებს უმშვენიერესი ახალი ლექსით ეგებება, სადაც ახალ ხედვას უნიკალურ, ჭეშმარიტად ჰუმანურ და უფაქიზეს ქართულ პოეტურ ტრადიციებზე აგებს, თუმცა, ისიც კარგად მოგვეხსენება, რომ მის შემოქმედებაში მსოფლიო კულტურაა გარდატეხილი.**

**სამწუხაროდ, აღმოჩნდება, რომ მსოფლიოს ყველა დიდმა პოეტმა და ხელოვანმა ვერ შეძლო არსებული კატაკლიზმების საპასუხოდ გალაკტიონის მსგავსი ამაღლებული, ჰარმონიული და ესთეტიკური სამყაროს აგება.**

**როდესაც ტექნიკური და პოლიტიკური რევოლუციების მომასწავებელმა ძლიერმა ქარმა დაბერა, ხელოვნება ახალი გზებისა და ფორმების ძიებაში გააფთრებული გამოიყურებოდა და სამყაროს გამრუდებული ხედვა მოდად ქცეულიყო. მხატვრები და პოეტები შვებას ხშირად ესთეტიკურად უჩვეულო ხატებსა და სიმბოლოებში პოვებდნენ.**

**ფრანგულმა და ევროპულმა ავანგარდმა, იქნებოდა ეს ექსპრესიონიზმი, კუბიზმი, დადაიზმი თუ სიურრეალიზმი, ქართველ ლიტერატორთა და ხელოვანთა წარმოსახვაშიც შემოაღწია. განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსული ზაუმისა და ფუტურიზ-**

# ინესა მერაბიშვილის გმირობა

**ვილის მიერ ინგლისური ენის სიღრმისა და სინატიფის წვდომა აღემატება იმას, ამ ენაზე ბუნებრივად მოსაუბრე ყველაზე განათლებულ ადამიანს რომ ხელეწიფება“.**

ამ მოვლენას ქალბატონი ინესა საკუთარი ლექსით კი ასე სხარტად ასხნის:

**„გორიჯვრის მთიდან მომწვდნენ სიონი,**
**იყო მტკვარი და კავკასიონი...**
**ციდან მობრძანდა ლორდ ბაირონი**
**და მათარგმნინა გალაკტიონი.“**

გასულ წელს დედაუნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს პროფესორმა ინესა მერაბიშვილმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება მიუძღვნა ლონდონში. ეს მოხდა 2018 წლის 15 თებერვალს, როდესაც ბაირონის საზოგადოების მიწვევით ქართველმა პროფესორმა დიდი ინგლისელი პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ისაუბრა, მაგრამ სრულიად ახალი თვალთახედვით, რამაც მაღალი აკადემიური და შემოქმედებითი წრეების მხარდაჭერა და აღფრთოვანება გამოიწვია.

ყოველივე ზემოთქმული, პატივცემულო მკითხველო, აკადემიკოს ინესა მერაბიშვილის სამეცნიერო და საგანმანათლებლო მოღვაწეობის მხოლოდ ერთი, თუმცა კი უაღრესად საგულისხმო და მეტად დასაფასებელი ნაწილია. მისი ყოველდღიური საქმიანობისა და დიდი ზრუნვის კიდევ ერთ მეტად მნიშვნელოვან შემადგენელზე ოდნავ მოგვიანებით მოგახსენებთ, მანამდე კი, ასე ვთქვათ, მისი, როგორც ქართული სამეცნიერო ელიტის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენლის პორტრეტის უფრო სრულყოფილად წარმოსაჩენად, გვინდა ერთგვარი „კოლექტიური“ შტრიხი შევიტანოთ.

წერილის დასაწყისში ტყუილად არ გვიხსენებია მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად არჩევის მნიშვნელოვანი პირობა, კერძოდ ის, რომ აკადემიკოსი უნდა იყოს „მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე მეცნიერი, რომელსაც საერთაშორისო დონის წვლილი აქვს შეტანილი მეცნიერების განვითარებაში“. საქმე ისაა, რომ ვიდრე გასული წლის დეკემბერს აკადემიის ახალი წევრთა არჩევნები გაიმართებოდა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

ლი, რომელიც განსაკუთრებით მკვეთრად გამოიხატა ბაირონის საერთაშორისო ასოციაციის ერთობლივი პრეზიდენტების, პროფესორების **ა. როსის, ნ. ოიჯინისა** და **ჯ. გროსის** მომართვაში:

**„ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ, ბაირონის საერთაშორისო ასოციაციის ერთობლივ პრეზიდენტებს, პატივი გვერგო, მიგვეღო ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ და მისმა რექტორმა წამოაყენა პროფესორ ინესა მერაბიშვილის კანდიდატურა აკადემიკოსის პოზიციაზე.**

**პროფესორ მერაბიშვილს, როგორც საქართველოს ბაირონის საზოგადოების დამფუძნებელსა და მის პრეზიდენტს 1988 წლიდან, უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი თავისი შრომებითა და თარგმანებით ბაირონის ირგვლივ არსებულ ცოდნაში.**

**გარდა იმისა, რომ ინესა მერაბიშვილი არის მეცნიერი, მთარგმნელი და თარგმანის თეორეტიკოსი, კრიტიკოსი, ის აღიარებულია, როგორც პოეტი ლორდ ბაირონის ქართული და გალაკტიონ ტაბიძის უნატიფესი ინგლისური თარგმანების გამო, რომელიც დიდმა ბრიტანეთმა უკვე ორჯერ გამოსცა...**

**პროფესორმა ინესა მერაბიშვილმა დიდად გაამდიდრა მსოფლიოს აკადემიური სამყარო ისეთი პოპულარული მონოგრაფიებით, როგორიცაა: „პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა“, „თარგმანი — კულტურათა დიალოგი“, „ლორდ ბაირონის თირზა“ და „შეხვედრა ლორდ ბაირონთან“, აგრეთვე მრავალი სხვა ნოვატორული ნაშრომით ლორდ ბაირონის პოეზიისა და ქართულ ლიტერატურასთან მისი კავშირების შესახებ, მით უმეტეს, რომ ყველა მათგანი აღსავსეა აკადემიური მიღწევებითა და ახალი სამეცნიერო მიგნებებით. ეს უკანასკნელი, პირველ ყოვლისა, გულისხმობს ბაირონის დამოკიდებულებას საქართველოსადმი და შესანიშნავად დასაბუთებულ გამოკვლევას თირზას პროტოტიპის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფესორ მერაბიშვილს**



აკადემიკოს თამაზ გამყრელიძესთან ერთად

**საქმიანობდე, გვმართებს, მისი თავისებურებები გაითვალისწინო. წინა საუკუნე, მოგეხსენებათ, განსაკუთრებული გამოდგა კაცობრიობის ისტორიაში ტექნოლოგიურ მიღწევათა გამო. ამის გასააზრებლად ერთი მარტივი მაგალითიც გვყოფნის: თუ ადამიანი ცივილიზაციის განვითარების მანძილზე გადაადგილდებოდა ფეხით, ცხენით, ნავითა თუ ხომალდით, XX საუკუნის მეორე ნახევარში ის კოსმოსში გაიჭრა.**

**აი, რას ბრძანებს ამის თაობაზე დიდი გალაკტიონი:**

**„შეხედეთ თანამედროვე ადამიანს, მისმა უკანასკნელთა საზღვართა ძებნამ გადააჭარბა ყოველგვარ ფანტასმაგორიას და მიიყვანა იგი გამოგონებათა უგონო ორგიამდე. თქვენ, პოეტებო, მხატვრებო, არტისტებო, მწერლებო! შესძლებთ თუ არა განიცადოთ ყოველივე ეს, როგორც მოითხოვს თანამედროვეობა?!.. უდიდებულეს რითმებში უნდა იხმოდეს პლანეტათა შეჯახება, ომები ვარსკვლავთა რაზმისა, გააფთრებული მზეების მიერ უეცრად ანთებული ცეცხლის**

**მის გავლენა. ეს უკანასკნელი, მოგეხსენებათ, გამოძახილი იყო იტალიური ფუტურიზმისა, რომელიც ძალადობას ეტრფოდა და ომს განადიდებდა. დადაიზმი უარყოფდა ესთეტიკას და ამიტომაც მას ანტიხელოვნებად მიიჩნევენ... ამ დროს სიურრეალიზმი აღტაცებული მიესალმებოდა შემოქმედებითი ინსპირაციისთვის გაუცნობიერებელში შეღწევის გადასულ პარანოიდულ-კრიტიკულ მეთოდს, რაც რეალურად ესთეტიზმს გამორიცხავდა. სალვადორ დალი წერდა: „რასაც ვქმნი, მე მხოლოდ აბსოლუტური ბუნებრიობით ვქმნი ესთეტიკურზე ზრუნვის ნატამალის გარეშე“. ამიტომაც იყო, რომ სალვადორ დალიმ თავის შედევრებში გაბედულად გამოფატრა ადამიანი, ხოლო პაბლო პიკასომ დაანგრია ადამიანის სახე საოცარი ფერებით გამორჩეული იმ უცნაური კუბებით. ამიტომაც იტყვის თომას ელიოტი — „ჩვენ გამოშიგნული ადამიანები ვართო“. კინორეჟისორმა ინგმარ ბერგმანმა კი განაცხადა: „ჩემი აზრით, ჩვენს კულტურულ სამყაროში ყოველივე უკუღმართად წარიმართა სწორედ ტექნოლოგიის გამო“.**

**ამგვარად, დღეს საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ტექნოლოგიის მძლავრმა განვითარებამ დაღი დაასვა ხელოვნებასა და ლიტერატურას. ეს ეხება ყველა ქვეყანას და ყველა კულტურას, სადაც შემდგომ თითქოსდა სიცარიელე დაისადგურებს.**

**უფრო მეტიც: თუ ვიქტორ ჰიუგოს აზრს გავითვალისწინებთ, რენესანსი აღორძინება კი არა, თურმე დეკადანსი ყოფილა. რასაკვირველია, ეს საკამათოა, მაგრამ ფაქტია, რომ დანტე ალიგიერი იტალიური პოეზიის სიმბოლოა, შექსპირი ინგლისის პირველ პოეტადაა აღიარებული, ხოლო რუსთაველი ქართული პოეზიის მწვერვალად რჩება.**

იხ. 9 გვ.

# ინვესტორს – სახელმწიფო მხარდაჭერა!

**ცენტრალური აზიის უდიდეს სახელმწიფო ყაზახეთში გატარებულ თანმიმდევრულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ-სამართლებრივ რეფორმებს თავისი პოზიტიური ნაყოფი მოაქვს. მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია „DoingBusiness"-ის რეიტინგის თანახმად, ბიზნესის თავისუფლებისა და კომფორტულობის მაჩვენებლის მიხედვით, ყაზახეთმა 2018 წელს დაკავებული 36-ე ადგილიდან 2019 წლის რეიტინგში, 190 ქვეყანას შორის 28-ე ადგილზე გადმოინაცვლა. ყაზახეთი, დსთ-ს მასშტაბით, რომ აღარაფერი ვთქვათ შუა აზიის რეგიონზე, ინვესტორებს ყველაზე უფრო დიდ უპირატესობის რეჟიმს ანიჭებს. ვერც ერთი უცხოელი ინვესტორი თავს ვერ იგრძნობს კომფორტულად სასამართლო სისტემის გამჭვირვალობისა და სამართლიანობის გარეშე, ამიტომაც სწორად იქნა შეფასებული ყაზახეთის ხელმძღვანელობის წვლილი სწორედ ასეთი — გამჭვირვალე და სამართლიანი სასამართლო სისტემის შექმნაში: „ყაზახეთმა უზრუნველყო კონტრაქტების უფრო მარტივი შესრულება იმით, რომ ყველა დონის სასამართლოების მიერ კომერციულ საქმეებში მიღებული გადაწყვეტილებები საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა. სახელმწიფომ ასევე დაიწყო ადგილობრივი კომერციული სასამართლოების მუშაობის მაჩვენებლების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება", — აღნიშნულია „DoingBusiness"-ის მოხსენებაში.**

რეიტინგებში ყაზახეთის პოზიცია 10-დან 6 მიმართულებით გაუმჯობესდა. ასე, მაგალითად, მან პირველი ადგილი შეინარჩუნა **„მინორიტარული ინვესტორების დაცვის"** ინდიკატორის მიხედვით. გაუმჯობესდა ისეთი ინდიკატორები, როგორებიცაა **„კონტაქტების შესრულების უზრუნველყოფა", „მშენებლობაზე ნებართვის მიღება", „საწარმოების გახსნა", „გადახდისუუნარობის გადაწყვეტა", „კრედიტების მიღება", „საერთაშორისო ვაჭრობა"**. შუააზიური სახელმწიფო ბოლო 11 წლის მანძილზე უწყვეტად აუმჯობესებს ამ მაჩვენებლებს და ყველა საფუძველი არსებობს იმის სავარაუდებლად, რომ ახლო მომავალში მიღწეულ იქნება ახალი არსებითი წარმატებები.

ყაზახეთი, როგორც ცნობილია, ძალიან მდიდარი ქვეყანაა და ფლობს მრავალფეროვან სასარგებლო წიაღისეულს: დიდი რაოდენობით ნავთობისა და ბუნებრივი აირის მარაგებს, ურანს, მინერალური ნედლეულის დაახლოებით 1225 სახეობას, სხვადასხვა მეტალებს, იშვიათ ელემენტებს, წვად და არამეტალური წარმოშობის მადნებს. **ყაზახეთი I ადგილზეა მსოფლიოში დადგენილი თუთიის, ვოლფრამისა და ბარიტის მარაგებით, მეორეზე — ვერცხლის, ტყვიის, ურანისა და ქრომიტების მარაგებით, მესამეზე — სპილენძისა და ფლუორიტის, მეოთხეზე — მოლიბდენის, მეხუთეზე — ოქროს მარაგებით.** მაგრამ ამ სიმდიდრეების მოსაპოვებლად და, რაც მთავარია, გადასამუშავებლად, საჭიროა დიდძალი ფინანსები, რომელთა წყაროსაც მხოლოდ უცხოური კაპიტალი წარმოადგენს. ამიტომ ყაზახეთმა უკვე საკმაოდ დიდი ხნის წინათ დაიწყო უცხოელი ინვესტორებისათვის ყველა პირობის შექმნა, მაგრამ ამავე დროს სრულად შეინარჩუნა საკუთარი სუვერენიტეტი და სტრატეგიული კონტროლი ბუნებრივ წიაღისეულზე. ასეთი მიღწევა გარდამავლი პერიოდის ბევრმა ქვეყანამ ვერ შეძლო, პირიქით, ბევრი მათგანი გაკოტრდა. ყაზახებს გაუმართლათ, რომ მათი ლიდერი ნურსულთან ნაზარბაევია, სწორედ მან შეძლო იდეალური ბალანსის უზრუნველყოფა — ესეც უნდა აღინიშნოს ყველაფერთან ერთად.

ბოლო ათწლეულის მანძილზე ყაზახეთის ეკონომიკაში ჩადებული 264 მილიარდი დოლარის პირდაპირი ინვესტიციებიდან ძირითადი მასა მოდის ნედლეულის სფეროზე (ბუნებრივი წიაღისეულის მოპოვებაზე). **მაგრამ ბოლო დროს სახელმწიფო უცხოელ ინვესტორებს სთავაზობს საინვესტიციო შესაძლებლობების გაფართოებას ინდუსტრიული პროექტებისა და გადამმუშავებელ წარმოებასთან დაკავშირებული პროექტების სახით. ასე, მხოლოდ 2018 წლის ერთი ნახევარწლედის მანძილზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი ნაკადი 15,4 პროცენტით გაიზარდა და 12,3 მილიარდი დოლარი შეადგინა, საიდანაც ნახევარი სწორედ გადამმუშავებელ სფეროში ჩაიდო.**



## ყაზახეთის საერთაშორისო საინვესტიციო მიმზიდველობა

დიდი აქცენტი გაკეთდა აგროსაწარმოო კომპლექსის განვითარებაზე. ინვესტიციების სანაცვლოდ, ყაზახეთი მზად არის, პროექტების განმახორციელებლებს მიანიჭოს უზარმაზარი უპირატესობები: (სატარიფო და საინვესტიციო) სუბსიდიებით დაწყებული, საგადასახადო პრეფერენციებით დამთავრებული. იმ შემთხვევაში, თუკი ინვესტორი მზად არის, არა მხოლოდ პროდუქციის მოყვანით, არამედ მისი გადამუშავებაც განახორციელოს, სახელმწიფო მის მიმართ აამოქმედებს მაქსიმალური უპირატესობის რეჟიმს.

ასეთი ლოიალური საინვესტიციო კლიმატი ნაკლებმიმზიდველი იქნებოდა, რომ არა ყაზახეთის სახელმწიფოს მხრიდან ინვესტორების უფლებებისა და ინტერესების დაცვის სრული და უპირობო გარანტია. ქვეყნის პოლიტიკური სტაბილობა და ხელშეკრულებების პირობების ურყევი დაცვა ყაზახეთს უცხოელი ინვესტორებისათვის განსაკუთრებულ მიმზიდველობას ანიჭებს.

შესაძლოა, სწორედ ამ ფაქტორმა, დანარჩენ საპრეფერენციო შესაძლებლობებთან ერთად, უბიძგა ინვესტორებს, იმოძრაონ იმ მიმართულებებით, რომლებსაც ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობა ქვეყნის ეკონომიკისათვის პრიორიტეტულად მიიჩნევს.

**ინვესტორებისა და სახელმწიფოს ინტერესების სინქრონიზაციის მიზნით, ყაზახეთში მოქმედებს უცხოელ პარტნიორებთან მუშაობის რიგი ორგანოებისა: ქვეყნის პრეზიდენტთან არსებული უცხოელი ინვესტორების საბჭო, ეროვნული კომპანია „Kazakh Invest", საგარეო საქმეთა სამინისტრო (ევალება ინვესტიციების მოსაზიდი სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია), ეროვნული ეკონომიკის სამინისტრო (ევალება ინვესტიციების მოსაზიდი სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება), პრემიერ-მინისტრთან არსებული საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების საბჭო, რეგიონულ ხელმძღვანელებთან (აკიმახებთან) არსებული ინვესტორთა საბჭოები, განვითარების ეროვნული ინსტიტუტები.**

ეროვნული კომპანია „Kazakh Invest" უზრუნველყოფს საინვესტიციო პროექტების თანმხლები მომსახურების სრულ სპექტრს, იდეიდან დაწყებული მისი რეალიზაციის ჩათვლით, **„ერთი ფანჯრის"** პრინციპით, და მოქმედებს ქვეყნის სპეციალური ეკონომიკური ზონების ერთიანი საკოორდინაციო ცენტრის სახით. იგი ასევე ასრულებს ერთიანი მომლაპარაკებლის როლს, რომელიც ყაზახეთის მთავრობის ინტერესებს წარმოადგენს საინვესტიციო პროექტების პერსპექტივებისა და პირობების განხილვის დროს და თან წარმოადგენს სახელმწიფო მომსახურებების ერთიან განმახორციელებელს.

2018 წელს კომპანია „Kazakh Invest"-ის მონაწილეობით რესპუბლიკაში ამოქმედდა 27 საინვესტიციო პროექტი, 3,1 მილიარდი დოლარის ოდენობის უცხოური კაპიტალის მონაწილეობით. 2019 წლის იანვრის მონაცემებით, კომპანიის მონიტორინგის სისტემაში თავმოყრილია 157 პროექტი, ჯამში 39,6 მილიარდი დოლარის ოდენობით.

დღესდღეობით ყაზახეთში მოქმედებს11 სპეციალური ეკონომიკური ზონა (სეზ). მათთვის არსებული შეღავათების ძირითადი ნუსხა სტანდარტულია და ასახულია ყაზახეთის კანონმდებლობაში. ყველა სეზ-ის მონაწილესათვის გათვალისწინებულია კორპორაციული საშემოსავლო ბეგარიდან, ასევე მიწის და ქონების გადასახადებიდან გათავისუფლება.

სეზ-ის ტერიტორიაზე საქონლის რეალიზება მისი დამატებითი ღირებულების გადასახადით დაბეგვრის გარეშე ხდება. გარდა ამისა, აქ რეალიზებულ საქონელზე ვრცელდება საიმპორტო საბაჟო გადასახადებიდან და დღგ-დან გათავისუფლება, ისევე, როგორც საინვესტიციო ხარჯების დაბრუნება.

**ყაზახეთში ინვესტორს ქვეყანაში მისი შესვლის მომენტიდან ახვედრებენ ყურადღების ცენტრში, აღმოუჩენენ დახმარებას ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით — იქნება ეს ბიზნესის დაწყება, ვიზის მიღება თუ სხვა რაიმე სახელმწიფო მხარდაჭერის აღმოჩენა. დანერგილია საინვესტიციო მოღვაწეობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის კომპლექსური სისტემა, რომელიც, ეკონომიკის განვითარებასა და ინვესტიციების მოზიდვასთან ერთად, წარმოებებში ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, ადგილობრივი კადრების კვალიფიკაციის ზრდასა და გარემოს დაცვის გაძლიერებას უწყობს ხელს.**

ამჟამად სახელმწიფო ინვესტორს ანიჭებს უფლებას, განახორციელოს ინვესტიციები სამეწარმეო საქმიანობის ნებისმიერ ობიექტსა და სახეობაში. მთლიანობაში, ყაზახეთი, ინვესტორის სახელმწიფოებრივი კუთვნილებისგან დამოუკიდებლად, მას ანიჭებს მთელ რიგ გარანტიებს, რომელთაგან უმთავრესია სტაბილობა და დადებული ხელშეკრულებების პირობების დაცვა, ყაზახეთის კანონმდებლობაში შესაძლო ცვლილებებისაგან დამოუკიდებლად. გარდა ამისა, ინვესტორს აქვს გარანტირებული უფლება, მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება, რომელიც მას შეიძლება მიადგეს, სახელმწიფო ორგანოების მიერ კანონმდებლობის შეუსაბამო აქტების გამოცემის ან სულაც ამ ორგანოების თანამდებობის პირების უკანონო ქმედებებისა თუ უმოქმედობას გამო.

თუკი წარმოიშობა ნაციონალიზაციის ან რეკვიზიციის აუცილებლობა, ინვესტორს დანაკარგები სრულად აუნაზღაურდება, თანაც ქონების საბაზრო ღირებულებით.

**დღესდღეობით ყაზახეთი წარმოადგენს რეგიონის და პოსტსაბჭოთა სივრცის ერთ ყველაზე უფრო სწრაფად მზარდ ეკონომიკას. ინვესტირების მიმართულებების მდიდარი არჩევანი, სახელმწიფოს მხრიდან არსებული სრული მხარდაჭერა, უპირატესობის რეჟიმის მოქმედება ბიზნესის წარმოების ყველა ეტაპზე და პოლიტიკური სტაბილობა ყაზახეთს ხდის მსხვილი კორპორაციებისათვის მეტად მიმზიდველ ადგილად. ეს მით უფრო, რომ ქვეყანას ევრაზიის ცენტრში ძალზე ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს.**

**რევაზ გიორხელიძე**

# ევროკავშირი უნდა გამოფხიზლდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საბჭოთა კავშირივით დაიშლება

**ფინანსურმა** ექსპერტმა ჯორჯ სოროსმა ვებგვერდ Project Syndicate-ზე სტატია გამოაქვეყნა სახელწოდებით „ევროპა, გთხოვთ გაიღვიძოთ".

ფინანსისტი მიიჩნევს, რომ ევროპა უნდა გამოფხიზლდეს, რადგან ეს სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. „თუ ის არ გაიღვიძებს, ევროკავშირი ისევე დაიშლება, როგორც 1991 წელს საბჭოთა კავშირი. მაგრამ არც ლიდერებსა და არც უბრალო მოქალაქეებს არ ესმით, რომ გადამწყვეტი მომენტი დადგა", — განაცხადა მან. ასეთი განწყობების მიზეზი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული არჩევნებია. როგორც ჯორჯ სოროსი აღნიშნავს, ბოლო წლებში პარტიებმა პოპულარობა მოიპოვეს, თუმცა ქვეყნების ერთიანობა ვერ შეინარჩუნეს.

„მათ არ სურთ იმ ღირებულებების დათმობა, რომლებზეც ევროკავშირია დაფუძნებული. მათ სურთ, შეცვალონ თავიანთი ღირებულებები, რომელიც რადიკალურად განსხვავდება", — წერს ფინანსისტი. სოროსი მიიჩნევს, რომ ევროპის სახალხო პარტია ევროპისთვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს. „ანტიევროპულ ძალებს უპირატესობა აქვს. ოდიოზური, თუმცა მათ საერთო პრინციპები გააჩნიათ ", — აღნიშნა ფინანსისტმა. სოროსი მიიჩნევს, რომ ევროკავშირი გადარჩება, თუ ინდივიდუალური პარტიები მაისის არჩევნებში საკუთარ თავს გაცილებით მაღლა დააყენებენ. თუმცა, მისი თქმით, პრობლემა ისაა, რომ ევროკავშირის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა სსრკ-ის დაშლის შემდეგ საბჭოთა პოლიტბიუროს ჰგავს: „განაგრძობს განკარგულებების გაცემას, ჯერ კიდევ მიიჩნევს, რომ რაღაც მნიშვნელოვანია", — წერს სოროსი.





გრაფი ლიტონი სტუმრად ქალბატონ ინესა მერაბიშვილთან

# აკადემიკოს ინესა მერაბიშვილის ფილოლოგიური გმირობა

(მეშვიდე გვერდიდან)

ისიც საყურადღებოა, რომ საბერძნეთიდან მომავალი რენესანსი ბიზანტიასა და საქართველოს ბევრად უფრო ადრე ეწვია, ვიდრე ევროპას, რაც გასული საუკუნის 40-იან წლებში აღმოსავლური რენესანსის თეორიის სახით აღწერა და დაასაბუთა შალვა ნუცუბიძემ და რაც 70-იანი წლების ბოლოს ღირსეულად აღიარა ალექსეი ლოსევმა თავის კაპიტალურ ნაშრომში.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, იქიდან მოყოლებული დღემდე ხელოვნებისა და ლიტერატურის გზა გრძელდება. ნიჭიერ კაცს რა გამოლევს აქ თუ სხვაგან. ჩვენ კი გვმართებს გავაცნობიეროთ, რომ არც დანტეს, არც შექსპირსა და არც ბაირონს, არც რუსთველსა და არც გალაკტიონს საკუთარი შემოქმედება მხოლოდ თავიანთი თანამედროვეობისთვის არ შეუქმნიათ, და რომ ჩვენ გვაქვს მათი ტექსტები, რომელიც ახალ წაკითხვასა და გააზრებას გვთავაზობს. ამდენად, ჩემი ღრმა რწმენით, XXI საუკუნეს აქვს თავისი უპირატესობა, მიჰყვეს მეცნიერების განვითარების გზას და უკეთ ჩაუღრმავდეს შექმნილს, რათა არსებულ საგანძურში, თუნდაც ლიტერატურის თვალსაზრისით, ახალი შინაარსი და ახალი ხედვა აღმოაჩინოს. ასეთი ხედვა და ცოდნა უთუოდ ახალ მოაზროვნეებს წარმოშობს.

ლიტერატურული ტექსტის კვლევის ის მეთოდოლოგია, რომელიც XX საუკუნემ შექმნა, წინა საუკუნეებს ნამდვილად არ გააჩნდა. გენიოსთა მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუში, იქნება ეს ფერწერა, ქანდაკება, მუსიკა, მხატვრული ლიტერატურა თუ სხვა, ყველა დროში თანაბრად პირუთვნელი და ღირებულია. რაც შეეხება მეცნიერებას, მას არ გააჩნია შექმნილის მარადიულობის პრეტენზია, რადგან ის მუდმივ განვითარებას ითხოვს, თუმცა, ფაქტობრივად, მარადიული ღირებულებების წარმოჩენაში გვეხმარება. როგორც მაქს ვებერი აღნიშნავდა, მეცნიერული აზრი და მიგნება მუშაობს ათი, ოცი ან ორმოცი წლის მანძილზე, რადგან მას შემდგომი განვითარება ესაჭიროება. ამიტომაცაა, რომ ის მეთოდოლოგიური აპარატი, რომელიც XX საუკუნეში მხატვრული ტექსტის კვლევის მიზნით შეიქმნა, იქნება ეს ლინგვისტური, სტილისტიკური თუ სხვა, წინა საუკუნეებში არ არსებობდა. სწორედ ამიტომაც არის, რომ თუ XXI საუკუნეში ჩვენ არ გვყავს გალაკტიონის მსგავსი გენიოსი პოეტი, ჩვენ ხელთ გვაქვს მეთოდოლოგია, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია მეტი სიღრმე აღმოვაჩინოთ გალაკტიონში. რუსთველი დღეს სრული აუცილებლობით საჭიროებს ახლებურ სიღრმისეულ შესწავლას და მრავალი სტრიქონის ახალ და მართებულ ინტერპრეტაციას. ის, რომ XII საუკუნის ძეგლი „ვეფხისტყაოსანი“ ოქროს კვეთითაა შესრულებული, აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა გასულ საუკუნეში მეცნიერულად ახსნა და დაასაბუთა.

ამ დროს მეცნიერებას აქვს კიდევ ერთი უნიკალური თვისება. ხელოვანი, იქნება ის პოეტი, მსახიობი, მხატვარი თუ მუსიკოსი, შეიძლება იყოს ადგილობრივი ღირებულებისა და მნიშვნელობის, მაგრამ მეცნიერი ადგილობრივი არ არსებობს, მეცნიერება აუცილებლად გულისხმობს საერთაშორისო ცოდნის შემეცნებას ამა თუ იმ დარგში. ამიტომაცაა, რომ მეცნიერი მაშინაა ღირებული, თუ ის შეძლებს, შეიტანოს საერთაშორისო წვლილი მეცნიერების განვითარებაში. ამიტომაცაა, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ უნდა ააღორძინოს თავისი დიდი ტრადიციები და განახორციელოს მისი მთავარი ამოცანა: კოორდინაცია გაუწიოს მეცნიერულ კვლევას საქართველოში და დაამყაროს კავშირები საზღვარგარეთის ქვეყნების აკადემიურ და მეცნიერულ ცენტრებთან. ამიტომაც არის, რომ ქართველი მეცნიერისათვის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსობა ყოველთვის გამორჩეული პატივი და აღიარებაა. თუ დღეს მე ეს პატივი მერგო, გულწრფელად ვუმადლი აკადემიის ხელმძღვანელობას, მის პრეზიდენტს – აკადემიკოს გიორგი კვესიტაძეს, ვიცე-პრეზიდენტს – აკადემიკოს როინ მეტრეველს, ყველა აკადემიკოსს, ყველას, ვინც მონაწილეობდა აკადემიკოსთა შერჩევაში, ვინც უზრუნველყო კონკურსისათვის მაღალაკადემიური და ობიექტური პირობების შექმნა. ჩემს შემთხვევაში ეს უმთავრესად ეხება ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებას, რომელმაც მე პირველივე კენჭისყრით თავის წევრად ამირჩია, და განსაკუთრებით მის ხელმძღვანელს, აკადემიკოს გუჩა კვარაცხელიას, რომელიც მაღალი მეცნიერული სტანდარტითა და დიდი ტაქტით უძღვებოდა საკონკურსო მოსმენებს.“

უაღრესად ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად, აკადემიკოსი ინესა მერაბიშვილი ასევე მეტად საგულისხმო და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, მრავალმხრივ პედაგოგიურ და საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი საქმიანობის ზოგიერთი ასპექტის შესახებ ზემოთ მოგახსენეთ, მაგრამ ამის პარალელურად, ჯერ კიდევ შორეულ 1991 წელს, მან ახალი საგანმანათლებლო პროექტის იდეა წამოაყენა, რომელიც საშუალო და უმაღლეს სკოლებს შორის არსებული კავშირების გაუმჯობესებას ითვალისწინებდა, თუმცა იმხანად ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების მიზეზით ამ იდეის განხორციელება რამდენიმე წლის მანძილზე ვერ ხერხდებოდა.

საქმე ეხებოდა ინგლისური ენის საშუალო სკოლაში სწავლების ხარისხის მკვეთრად ამაღლებას, ამიტომ, 1995 წელს მან გადაწყვიტა ამ პროექტის საკუთარი ძალებით განხორციელება კერძო სასწავლებლის დაარსების გზით. ასე შეიქმნა თბილისის ბაირონის სკოლა, როგორც ინგლისური ენისა და კულტურის შემსწავლელი დამატებითი სასწავლებელი. ამ სკოლის ასეული კურსდამთავრებული ღირსეულად ავსებს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების კონტინგენტს, მრავალი მათგანი წარმატებულად ეუფლება პროფესიას დასავლეთის მრავალ უნივერსიტეტში. აუცილებლად აღსანიშნავია კიდევ ერთი მეტად სასიხარულო და საამაყო გარემოება: სახელგანთქმული ოქსფორდის უნივერსიტეტის გზამკვლევმა თბილისის ბაირონის სკოლა მსოფლიოს 500 საუკეთესო სასწავლებელთა სიაში შეიყვანა.



ქალბატონი ინესა მერაბიშვილი თბილისში ლორდ ბაირონს მიესალმება

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რამდენიმე წლის წინათ, ინესა მერაბიშვილის უშუალო ძალისხმევით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ბაირონის მე-40 საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მონაწილეებს შორის ოცი ქვეყნის წარმომადგენელ ას დელეგატთან ერთად, პოეტის ორივე შთამომავალი – **ლორდი ბაირონი ლედი ბაირონთან ერთად და გრაფი და გრაფინია ლიტონები იყვნენ**.

დაბოლოს, ორიოდ სიტყვა ქალბატონ ინესა მერაბიშვილის ოჯახზე, თუმცა, უმჯობესია, აქაც თავად მას მოვუსმინოთ: **„გავთხოვდი ოცი წლის ასაკში. ჩემი მეუღლე გივი გივიაშვილი 26 წლის იყო. შეგვეძინა ორი შვილი: ირინე და ირაკლი. ოჯახი და სახლი ჩემთვის წმინდა ადგილად იქცა. ქვეყნის მდგომარეობა და განათლების სისტემა ყოველთვის ერთნაირად წარმატებული ვერ იქნება, მაგრამ, თუ ოჯახი მძლავრობს, მისი შვილები ღირსეული მოქალაქეები დაიზრდებიან. ოჯახი არის ის დიდი ძალა, რამაც უნდა გადაარჩინოს ერიც და ქვეყანაც. გონიერმა კაცმა ოჯახს არ უნდა უღალატოს.**

**ირინემ წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აქვე დაიცვა სადოქტორო ხარისხი. ის ტაო-კლარჯეთის საკმაოდ გამოცდილი სპეციალისტია. ირინე აქტიურადაა ჩართული შუა საუკუნეების არქიტექტურის საერთაშორისო კვლევაში, ხანგრძლივი დროით იმუშავა ოქსფორდის უნივერსიტეტში. მისი მეუღლე ირაკლი კოპლატაძე დიპლომატია, მაგრამ საკუთარი ცოდნითა და გამოცდილებით მხარში უდგას ირინეს კვლევას. 2004 წელს მათ ერთობლივად გამოსცეს საინტერესო წიგნი ტაო-კლარჯეთზე. მათ ჰყავთ ორი ვაჟიშვილი: ერეკლე და თორნიკე. ორივემ ინგლისური ენა და კულტურა თბილისის ბაირონის სკოლაში შეისწავლა და უმაღლესი განათლება და სამაგისტრო ხარისხი დიდ ბრიტანეთში მიიღო. ორივე მშრომელი და წესიერი ახალგაზრდაა.**

**ჩემი ვაჟი ირაკლი გივიაშვილი იურისტი და დიპლომატია. მანაც წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო სამაგისტრო პროგრამა გაიარა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში. ირაკლიმ სადოქტორო დისეტრაცია ადამიანის უფლებებში შეასრულა და დაიცვა დიდ ბრიტანეთში, საკუთრივ, ნოტინგემის უნივერსიტეტში. ჩემდა საამაყოდ, მის მეუღლეს თამარ ფხაკაძესაც ლონდონის ცნობილი ეკონომიკური სკოლის მაგისტრის ხარისხი აქვს. მათ ჯერჯერობით ჰყავთ ერთი ვაჟიშვილი – გივი (გიო) გივიაშვილი და ცხოვრობენ სტრასბურგში, რადგან ირაკლი საქართველოს ელჩია ევროპის საბჭოში.**

**ვერც ჩემი შვილები და ვერც ჩემი შვილიშვილები ვერასოდეს იტყვიან იმას, რომ მე ცხოვრების რომელიმე პერიოდში ოდნავ მაინც მოვადუნე ოჯახისადმი ყურადღება და მზრუნველობა დავაკელი ჩემი პროფესიული საქმიანობის გამო, რაც მათ ძალიან მოსწონთ და ეამაყებათ. მე ხომ ისინიც პროფესიონალებად დავზარდე. მოგეხსენებათ, ცხოვრება ძალზედ რთული რამაა და ძნელია ყველას ცხოვრების ერთი ფორმულა დაუწესო, მაგრამ, თუ მოგვყვება ამის უნარი, ეს ორი დიდი საქმე შეიძლება ერთად აკეთო. თუ არა და, უპირატესობა ოჯახს უნდა მისცე და მას ცივი ნიავი არ მიაკარო.“**

და მაინც, ქალბატონმა ინესამ ყველაფერი ბოლომდე არ გვითხრა, თუნდაც ის, რომ მის ოჯახს მეგობრები „ელჩების სამჭედლოს“ უწოდებენ, რადგან გარდა ვაჟიშვილისა, საქართველოს ელჩია სლოვენიაში მისი სიძე ირაკლი კოპლატაძე, ხოლო უფროსი შვილიშვილი ერეკლე საქართველოს ახალგაზრდა ელჩია ჰოლანდიაში. უფრო მეტიც: ჯერ კიდევ 2005 წელს ბრიტანელი აკადემიური და დიპლომატიური წრეების წარდგინებით ამერიკის საერთაშორისო ბიოგრაფიულმა ცენტრმა ქალბატონ ინესას მიანიჭა საერთაშორისო ელჩის ორდენი და ტიტული HE – „მისი აღმატებულება“.

აი, ასეთია მისი აღმატებულების, აკადემიკოს ინესა მერაბიშვილის არასრული პორტრეტი.

* * *

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის კოლექტივი კიდევ ერთხელ გულითადად ულოცავს ქალბატონ ინესა მერაბიშვილს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად არჩევას და წარმატებებს უსურვებს მას როგორც სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობაში, ასევე პირად ცხოვრებაში.

აკადემიკოს ინესა მერაბიშვილს ესაუბრა
**ოთარ ტურაბელიძე**

## ◉ წინ, საქართველოვ!

# ამიერიდან – 14-გზის!



**უნიკალური – ასე შეიძლება შეფასდეს ირმა ხეცურიანის მიღწევა, რომელმაც ეტლით მოფარიკავეთა მსოფლიო თასი მე-14-ედ(!) მოიგო.**

ეს არაბთა გაერთიანებულ საამიროებში მოხდა, სადაც ქართველმა პარასპორტსმენმა ჯგუფური ეტაპის შემდეგ ტაილანდელი, ჩინელი და უკრაინელი მეტოქენი დაჯაბნა.

ვულოცავთ!

**ბეჟან დოლიძე**

## ◉ ლეგიონერი

# გიოს კვირა




**20 წლის ქართველი კალათბურთელი გიორგი ბეჟანიშვილი აშშ-ის კოლეჯების ლიგის (NCAA) ბიგ 10-ს კონფერენციის კვირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს, რაც, ჩვენებურის ბოლოდროინდელი ასპარეზობიდან გამომდინარე, მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა.**

შეგახსენებთ, რომ ბეჟანიშვილის „ილინოისმა“ კვირის განმავლობაში ორივე მატჩი მოიგო, ქართველი ცენტრის საშუალო მონაგარი კი 25.5 ქულა და 6 მოხსნა იყო. გიორგიმ თავი განსაკუთრებით „რატგერსთან“ მატჩში გამოიჩინა, როდესაც 35 ქულა ჩააგდო და გუნდის ფრეშმენებისთვის (პირველწლიანები) რეკორდი დაამყარა.

ილინოისის უნივერსიტეტს სატურნირო ცხრილში 5 მოგება და 8 მარცხი აქვს და ბიგ 10-ს კონფერენციაში მე-9 ადგილი უკავია, მომდევნო მატჩში კი დღეს „გონზაგა ბულდოგსს“ ესტუმრება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

## ◉ რაგბი ჩვენი თამაშია!

# „ლომთა“ ღაღადი

**„ბორჯღალოსნები“ 2019 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის მეორე მატჩისთვის „შევარდენზე“ ემზადებიან და გუშინ გულშემატკივრებისა და ჟურნალისტებისთვის ღია ვარჯიში გამართეს. ჩვენი გუნდი 17 თებერვალს „ავჭალაზე“ ესპანეთს ეთამაშება. წლის პირველი საშინაო შეხვედრა 18 საათზე იწყება და ბილეთები ონლაინ ბმულზე www.TKT.GE/Rugby ასევე „ავჭალის“ სტადიონის სალაროებში იყიდება (ყოველდღე 11-იდან 19 საათამდე).**

გუშინდელი წვრთნა 2 საათზე მეტხანს გაგრძელდა. ტრადიციულად, თავდაპირველად ხაზი და შერკინება ცალ-ცალკე ვარჯიშობდა, მერე კი ორ გუნდად დაიყვნენ და სხვადასხვა სათამაშო სიტუაციები და კომბინაციები დაამუშავეს. რამდენიმე ეპიზოდში ბურთი ისე კარგად გათამაშდა, რომ ტრიბუნებზე შეკრებილმა ქომაგებმა ბიჭები ტაშით დააჯილდოვეს.

იყო დრო, ესპანელი „ლომები“ „ბორჯღალოსანთათვის“ უხერხულ მეტოქედ ითვლებოდნენ. მათ 2000 წლიდან თითქმის ყოველ წელს ვეთამაშებით, 2014 წელს კი ორჯერ შვხვდით.

19 წლის წინათ პირველი შეხვედრა მეტოქემ მადრიდში 36:32 მოგვიგო; 2004 წელს ტარაგონაში მათთან ფრეს დავჯერდით (6:6); 2007 წელს მადრიდში ესპანეთმა ყველაზე დიდი სხვაობით – 31:17 იმარჯვა; სულ ბოლოს „ლომებმა“ 2012 წელს, ასევე მადრიდში მოგვიგეს – მილთონ ჰეიგის სადებიუტო შეხვედრაში – 25:18.

დანარჩენ 15 შემთხვევაში გამარჯვება „ბორჯღალოსნებს“ დარჩათ და აქედან 10-ჯერ საქართველოში ჩატარებულ ყველა შეხვედრაში. მეტოქეს ყველაზე დიდი სხვაობით 2011 წელს ვძლიეთ – 60:0 და მაშინ ერთ თამაშში ყველაზე ბევრი, 9 ლელო გავიტანეთ. 2013 წელს „ლომებთან“ ყველაზე მეტი, 61 ქულა ავიღეთ და 61:18 დავამარცხეთ, ხოლო მომავალი ჯახის ადგილას, „ავჭალაზე“, ერთადერთხელ ვეთამაშეთ და 2014 წლის „თბილისის თასზე“ 23:13 მოვუგეთ.

მე-20, საიუბილეო შეხვედრის წინ ესპანეთთან ბალანსი 15:3-ზეა (+ერთი ფრე), გავუტანეთ 80 ლელო და მივიღეთ 29, ხოლო ქულათა თანაფარდობა 590:280-ზეა. შარშან მათ „მიხეილ მესხზე“ შევხვდით და 23:10 დავამარცხეთ, თუმცა, მეტოქემ თავი სწრაფი და გაშლილი რაგბით დაგვამახსოვრა.

2017/2018 წლების რაგბი ევროპის ჩემპიონატის შედეგების თანახმად, ესპანეთი მსოფლიო თასის საგზურის მოპოვებასთან ძალიან ახლოს იყო, თუმცა, ნატურალიზებულ მოთამაშეთა გამო სკანდალში გაეხვა და საბოლოოდ იაპონიის საგზური რუსეთს დარჩა.

ამის ფონზე ესპანელებს საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცება სურთ და წლევანდელი რაგბი ევ-



როპის პირველ ტურში მსოფლიო თასის მონაწილე რუსეთი 16:14 დაამარცხეს, 17 თებერვალს კი „ბორჯღალოსანთა“ წინაშე წარსდგებიან. სადღეისოდ რაგბი ევროპას საქართველო, ესპანეთი და ბელგია 4-4 ქულით ლიდერობენ.

მეტოქის სწრაფი და გაშლილი რაგბისადმი ლტოლვის შესახებ კარგად იციან „ბორჯღალოსანთა“ სამწვრთნელო შტაბში.

**„როგორც ყოველთვის, ბრძოლისთვის ვემზადებით. ვცდილობთ შეტევასა და დაცვაში ის ტექნიკური ხარვეზი დავხვეწოთ, რომელიც რუმინეთთან მოგებულ მატჩში გვქონდა. ასევე ვეცდებით, რომ მაყურებელს უფრო ლამაზი რაგბი ვაჩვენოთ. ესპანეთი ღია და არეულ თამაშში საკმაოდ კომფორტულად გრძნობს თავს და ეცდება, რომ სწრაფი შეჯგუფებები ჰქონდეს. შესაბამისად, ვეცდებით, რომ ამის საშუალება არ მივცეთ“** – თქვა „ბორჯღალოსანთა“ დაცვის მწვრთნელმა **ლევან მაისაშვილმა**.

მეტოქის ბოლოდროინდელ პროგრესზე საუბრობს მეორეხაზელი **ნოდარ ჭეიშვილი**:

**„ესპანეთი პროგრესირებადი გუნდია, რაც ბოლო წლებში ყველასთვის თვალნათელია. მას ჰყავს ძალიან კარგი 7-კაცა ნაკრები და ამის ხარჯზე ხელდახელ სწრაფი თამაში კარგად გამოსდის. განვიხილეთ მისი სუსტი და ძლიერი მხარეები და ვეცდებით შესაბამისი თამაში დავუპირისპიროთ. გულშემატკივარს ვთხოვ, რომ გვერდზე დაგვიდგეს. მათი თანადგომა ჩვენთვის უდიდესი მუხტია“.**

მომავალი თამაშის მოლოდინებზე ისაუბრა კვაჭმა **გიორგი ჭყოიძემ**:

**„ესპანეთის ნაკრებს სწრაფი რაქი აქვს, სწრაფ რაგბის თამაშობს და არ უყვარს შეჯახებები. ჩვენ ვეცდებით მათთან ახლო თამაში, შერკინებებში მოვიპოვოთ უპირატესობა და ქომაგი გაშლილი რაგბით და გამარჯვებით გავახაროთ“.**

„ბორჯღალოსანთა“ ვარჯიშის პროცესში ჩართული იყო ახალზელანდიელი, ყოფილი მსოფლიო დონის მსაჯი **ქრის პოლოქი,** რომელიც „მსოფლიო რაგბის“ კონსულტანტია და საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბს დეტალების დახვეწაში ეხმარება. მისი ჩართულობის მნიშვნელობაზე **მაისაშვილმა** განაცხადა:

**„პოლოქთან დიდი ხანია ვთანამშრომლობთ. ის ივნისის ტესტებზეც ჩვენთან ერთად იყო და ნოემბერშიც იყო საქართველოში ჩამოსული. ქრისი სამსაჯო კუთხით აკვირდება, თუ რა შეცდომები გვაქვს, რაც ძალიან გვეხმარება. ჩვენ მის რჩევებს მოთამაშეებს გადავცემთ. რაგბის განვითარება მწვრთნელთა, მსაჯთა და მორაგბეთა ერთობლივი ჩართულობის გარეშე ვერ მოხდება“.**

**კობა კობახიძე**

## ◉ ფეხბურთი

# არგენტინის სახელით

**ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური რაუნდი სტუმართა უპირატესობით დაიწყო – პირველი კვირის ოთხი შეხვედრიდან მათ სამი მოიგეს.** აღსანიშნავია, რომ ოთხშაბათს გამართულ ორივე პლეი-ოფში წარმატებას ახალგაზრდა არგენტინელ სპეციალისტთა (პოჩეტინიო, სოლარი) გაწვრთნილმა გუნდებმა მიაღწიეს, თანაც, როგორც ინგლისში, ისე ჰოლანდიაში მთავარი მოვლენები შესვენების შემდეგ განვითარდა.




ეს იყო სერხიო რამოსის მე-600 მატჩი „რეალში“

### „ტოტენჰემი“ – „დორტმუნდი“ 3:0

**(პირველი ტაიმი 0:0)**

**გოლები: სონი, ვერტონგენი, ლორენტე.**

მეტოქენი ბრძოლის განახლებას სერიოზული დანაკლისით შეხვდნენ – ერთი მხრივ, კეინი და დელე ალი, ხოლო, მეორე მხრივ – როისი და ალკასერი.

როგორც აღმოჩნდა, ასეთი საკადრო პრობლემები პრემიერლიგის წარმომადგენელმა უფრო ღირსეულად დაძლია, ვიდრე ბუნდესლიგის ერთპიროვნულმა ლიდერმა.

და მაინც, ვფიქრობთ, რომ ამ წყვილში ინტრიგა საბოლოოდ მაინც არ მომკვდარა.

### „აიაქსი“ – „რეალი“ 1:2

**(პირველი ტაიმი 0:0)**

**გოლები: ზიეჩი; ბენზემა, ასენსიო.**

„სამეფო კლუბის“ ბოლოდროინდელი პროგრესი, რამაც იგი პრიმერადივიზიონის მეორე პოზიციამდე აღაზევა, ლოგიკურად აისახა ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირს შემორჩენილი ერთადერთი ნიდერლანდური გრანდის წინააღმდეგ.

მართალია, პირველ ტაიმში მასპინძლები ტოლს არაფერში უდებდნენ ფავორიტს (სხვათა შორის, მათ გოლი არ ჩაუთვალეს), მაგრამ შემდეგ კლასმა მაინც თავისი გაიტანა.

**გიორგი შოთაძე**

## ◉ ოლიმპიზმი

# უკვე – ჭადრაკიც

**საფრანგეთის ჭადრაკის ფედერაციამ პარიზის 2024 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს ოლიმპიურ პროგრამაში ამ სახეობის შეტანის წერილობითი განაცხადით მიმართა.**

ფედერაციის პრეზიდენტის **ბაშარ კუატლის** განცხადებით, ფრანგთა ინიციატივას მხარს უჭერს ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია (FIDE).

**„ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებს მივმართეთ, რომ ჭადრაკი გახდეს 2024 წლის თამაშების ნაწილი. რა თქმა უნდა, ჩვენი ეს განაცხადი FIDE-ს მხარდაჭერით არის შემუშავებული,“** – განაცხადა ბაშარ კუატლიმ.

საფრანგეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ FIDE სწორედ ამ ქვეყნის ინიციატივით 1924 წელს შეიქმნა პარიზში. კუატლის თქმით, თუ მათ განაცხადს მხარს დაუჭერენ, მაშინ საჭადრაკო შეჯიბრება გაიმართება სორბონის დარბაზში, იქ, სადაც თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელმა პიერ დე კუბერტენმა ოლიმპიური თამაშების დაწყებაზე განაცხადა. საფრანგეთის ჭადრაკის ფედერაციის განაცხადს პარიზი-2024-ის საორგანიზაციო კომიტეტში განიხილავენ, შემდეგ ის, შესაძლოა, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს (IOC) გადაეგზავნოს და მხოლოდ ამის შემდეგ იგი დასამტკიცებლად გადაეცემა IOC-ის აღმასრულებელ საბჭოს, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას 2020 წლის დეკემბერში მიიღებს.

FIDE-ს პრეზიდენტ **არკადი დვორკოვიჩის** განცხადებით, ნაკლებსავარაუდოა, რომ ინტელექტუალური თამაშები ოლიმპიადების პროგრამის ნაწილი გახდეს. უფრო დიდი შანსია, რომ ჭადრაკი საჩვენებელ სახეობად იყოს წარმოდგენილი.

**მანუჩარ გიორგაძე**

# რა მიზნით შემოდიან და რამდენს ხარჯავენ ვიზიტორები საქართველოში

„საქსტატის" მონაცემებით, გასულ წელს ყველაზე მეტი თანხა ვიზიტორებმა საკვებსა და სასმელზე – 2 მილიარდზე მეტი დახარჯეს. სტატისტიკა 2017 წლის მაჩვენებელს 37.4 პროცენტით აღემატება.

მეორე პოზიციაზე – 1.8 მილიარდი ლარი განთავსების ხარჯებია. გართობაზე მთლიანმა ხარჯმა შარშან 1.4 მილიარდი ლარი შეადგინა.

საქსტატის მონაცემებით, უცხოელი ვიზიტორი საშუალოდ 150.7 ლარს ხარჯავს საყიდლებზე, 77.4 ლარს ადგილობრივ ტრანსპორტზე, 71.7 ლარს ხანგრძლივი მოხმარების საგნებზე, 5.8 ლარს ძვირფას ნივთებზე.

სტატისტიკის ანგარიშის მიხედვით, 2018 წლის განმავლობაში 498,000 ვიზიტი საქართველოში შოპინგის მიზნით შედგა, ეს მთლიანი ტურისტული ვიზიტების 6.9%-ს შეადგენს. საქსტატის მონაცემებით, ვიზიტორებმა ჯამში საქართველოში 7.9 მილიარდი ლარი დახარჯეს.

- **დანიშნულებების მიხედვით, ვიზიტების რაოდენობა ასე ნაწილდება;**
- **დასვენება, გართობა, რეკრეაცია – 3,075,800 ვიზიტი, წილი მთლიან ვიზიტებში 42.7%;**
- **ტრანზიტი სხვა ქვეყანაში გადასასვლელად – 1,463,100 ვიზიტი, წილი მთლიან ვიზიტებში 20.3%;**
- **მეგობრების/ნათესავების მონახულება – 1,189,600 ვიზიტი, წილი მთლიან ვიზიტებში 16.5%;**
- **პროფესიული/ეკონომიკური საქმიანობა – 623,800 ვიზიტი, წილი მთლიან ვიზიტებში 8.7%;**
- **„შოპინგი", საქონლის შეძენა პირადი მოხმარებისთვის – 498,400 ვიზიტი, წილი მთლიან ვიზიტებში 6.9%;**
- **მკურნალობა, გაჯანსაღება – 196,200 ვიზიტი, წილი მთლიან ვიზიტებში 2.7%;**
- **სხვა – 156,300 ვიზიტი, წილი მთლიან ვიზიტებში 2.2%.**

2018 წელს განხორციელებული ვიზიტებისას გათეული ღამეების საშუალო რაოდენობამ 4.2 ღამე შეადგინა, რაც 2017 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელზე (4.3 ღამე) 2 პროცენტით ნაკლებია. განხორციელებული ვიზიტების 72.9 პროცენტი წარმოადგენდა განმეორებითი ხასიათის ვიზიტს.

# საქართველოში ვიზიტით 88 პროცენტი კმაყოფილია, 2 პროცენტი კი – უკმაყოფილო

**2018 წელს საქართველოს ვიზიტორთა საერთო რაოდენობის 88 % კმაყოფილია ქვეყანაში ვიზიტით, მათ შორის 54 % – ძალიან კმაყოფილი, ხოლო 34 % – კმაყოფილი. ხოლო 1%-1% – ძალიან უკმაყოფილო ან უმაყოფილო.**



2018 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირდა საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების 8.7 მილიონი შემოსვლა, რაც 9.8 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. 2018 წელს ვიზიტორების ყველაზე დიდი რაოდენობა, 1,204.3 ათასი ვიზიტორი, დაფიქსირდა რუსეთის ფედერაციიდან, რაც მთლიანი ვიზიტორების 20.9 პროცენტს შეადგენს და წარმოადგენს 25.9-პროცენტიან ზრდას 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. ვიზიტების ყველაზე დიდი წილი (19.8 პროცენტი) აზერბაიჯანის მოქალაქეების მიერ განხორციელდა, რაც 0.3 პროცენტული პუნქტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

**2018 წელს განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული ხარჯები 7.9 მილიარდ ლარს გაუტოლდა, რაც 37.4 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ვიზიტზე საშუალო ხარჯი წინა წელთან შედარებით 21.8 პროცენტით გაიზარდა და 1,082.7 ლარი შეადგინა.**

# როგორ დავახარისხოთ საოჯახო ნარჩენები

**თბილისის მერიის მხარდაჭერით, „კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა" (CENN) დედაქალაქში, ნარჩენების სეპარაციის შესახებ საინფორმაციო ბანერები განათავსა. საინფორმაციო ბანერებზე მითითებულია თუ რა მისამართებზეა განლაგებული ნარჩენების სეპარირების სტენდები.**

ნარჩენების სეპარაციის სტენდები, თბილისის მერიის, „თბილსერვის ჯგუფის", „კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის" და საქართველოს ნარჩენების მართვის ასოციაციის ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა. დედაქალაქში უკვე სეპარაციის 25 სტენდი დგას, რომელშიც მოქალაქეებს დახარისხებული ნარჩენების განთავსება შეუძლიათ. კერძოდ, PET ბოთლები, ქაღალდი, შუშა და ალუმინის ქილები.

ალსანიშნავია, რომ ამ სტენდებში მოხვედრილი ნარჩენები მეორად პროდუქტად გადამუშავდება. **რაც შეეხება საინფორმაციო ბანერებს, ისინი განთავსებულია მეტროსადგურ „სამგორთან", დიდ დიღომში, გ. ბრწყინვალეს ქუჩაზე, ვაჟა-ფშაველას გამზირზე; რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარედ, წერეთლის გამზირზე, „კოკა-კოლას" ოფისთან, ვაკის პარკთან და მეტროსადგურ „ღრმაღელესთან". ბანერებიდან რამდენიმე წუთის სავალზეა განთავსებული სეპარაციის სტენდებიც.**


## განცხადება №1

გაცნობებთ, რომ ნოტარიუს მარიამ კვარაცხელიასთან, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე ქ. ბათუმი, ალმაშენებლის ქ. №10, ბინა 28, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, კერძოდ 2015 წლის 2 დეკემბერს გარდაცვლილი მოქალაქე ოლღა ლებედევას (პ/ნ 61001023728) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე მისამართზე: ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. №70 (ს/კ 05.08.08.011.01.504) უმკვიდროდ ცნობა და სახელმწიფოს სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. დაინტერესებული პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოცხადდნენ სანოტარო ბიუროში, მისამართზე: ქ. ბათუმი, ალმაშენებლის ქ. №10, ბინა 28.

## განცხადება №2

გაცნობებთ, რომ ნოტარიუს მარიამ კვარაცხელიასთან, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე ქ. ბათუმი, ალმაშენებლის ქ. №10, ბინა 28, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, კერძოდ 2001 წლის 23 აპრილს გარდაცვლილი ბატონი ალექსანდრე ვასილის ძე პავლოვსკის (დაბ: 23.03.1925 წ. გარდაცვალების მოწმობა II-AK № 760920) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე მისამართზე: ქ. ბათუმი, ნონეშვილის ქუჩა №54 (ს/კ 05.30.09.048) 1/4 ნაწილის უმკვიდროდ ცნობა და სახელმწიფოს სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. დაინტერესებული პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოცხადდნენ სანოტარო ბიუროში, მისამართზე: ქ. ბათუმი, ალმაშენებლის ქ. №10, ბინა 28.


# ლადო ბედუკაძე ნაცემია



**არსებული** ინფორმაციით, ციხის კადრების ავტორზე თავდასხმა თბილისში, რუსთაველის გამზირზე მოხდა. ბედუკაძეს ყოფილმა პატიმარმა სცემა, რომელიც სასჯელს იმ პერიოდში იხდიდა, როცა ციხის კადრების ავტორი ბადრაგად მუშაობდა. ბედუკაძე ჰოსპიტალიზირებულია და მკურნალობას თბილისის ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში გადის.

# ბიუჯეტის თანხებს ითვისებდა

**ბიუჯეტის** კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხის გაფლანგვის ბრალდებით „სპეციალური სერვისების" ყოფილი დირექტორი დააკავეს.

დაკავებულმა ქუთაისში, ლადო ასათიანის ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოების მიმდინარეობისას 250 ათასზე მეტი ლარი გაფლანგა. ექსპერტიზის დასკვნით სამუშაოები პროექტის გარეშე, უხარისხოდ შესრულდა და საჭიროა სანიაღვრე სისტემის სრული დემონტაჟი.

# ბათუმში ავარიის შედეგად ორი ახალგაზრდა დაშავდა



**ბათუმში**, 26 მაისისა და ჩოლოყაშვილის ქუჩების კვეთაში, ავარიის შედეგად ახალგაზრდა გოგო და კაცი დაშავდა. აჭარის ტელევიზიის ინფორმაციით, სასწრაფო დახმარების ბრიგადებმა მოქალაქეები „მედცენტრსა" და რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმების განცხადებით, ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დაშავებულები კონტაქტურები იყვნენ და სხეულის დაჟეჟილობა აღენიშნებოდათ.

# ქურდობის ფაქტი გახსნილია

**შინაგან** საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ქურდობის ბრალდებით, 1991 წელს დაბადებული ნ.ბ. და 1991 წელს დაბადებული ბ.ბ. დააკავეს. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ნ.ბ.-მ და ბ.ბ.-მ მიმდინარე წლის 8 თებერვალს თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩაზე, მოქალაქის – მაია ბიჭიკაშვილის კუთვნილი ავტომანქანიდან ოთხივე საბურავი მოიპარეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

გამოკითხვისას დაკავებულებმა მათ მიერ თბილისში ჩადენილი ქურდობის კიდევ ერთი ფაქტი აღიარეს. დადგინდა, რომ ბრალდებულებმა მიმდინარე წლის 13 თებერვალს, გვიან ღამით, ვაზისუბნის დასახლებაში მდებარე ერთ-ერთი მოქალაქის კუთვნილი მიწის ნაკვეთიდან სხვადასხვა ნივთი მოიპარეს. სამართალდამცველებმა ნაქურდალი ნივთები სრულად, ნივთმტკიცებად ამოიღეს.

# დააპატიმრეს პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გასაჯაროებისთვის

**შინაგან** საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერის გავრცელების ფაქტზე გამოძიება გრძელდება.

სამართალდამცველებმა მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ვიდეოჩანაწერის შენახვისა და გავრცელების ბრალდებით, კიდევ ერთი პირი – 1975 წელს დაბადებული ზ.ლ. დააკავეს. პოლიციამ ბრალდებულის საცხოვრებელ სახლში მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩხრეკა ჩაატარა. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მობილური ინტერნეტაპლიკაციის მეშვეობით გაავრცელა პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერი.

საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ ადამიანების პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის უკანონო მოპოვება, შენახვა და გავრცელება სისხლის სამართლის დანაშაულია. სისხლის სამართლის წესით ისჯება პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის როგორც ნებისმიერი საშუალებით გავრცელება (მათ შორის მობილური აპლიკაციის მეშვეობით გადაგზავნა), ასევე, მისი შენახვა, რაც ისჯება 4-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, სულ 18 პირია დაკავებული. გამოძიება გრძელდება დანაშაულთან შემხებლობაში მყოფი სხვა პირების დადგენის მიზნით.

# ხანძარი „მეორადების" საწყობში

**თბილისში**, თევდორე მღვდლის ქუჩაზე გაჩენილი ხანძარი ლიკვიდირებულია. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, დამწვარია სასაწყობე ფართი 200-250 კვ. მ. ფართობი.

მათივე ცნობით, მეხანძრე-მაშველების დროული რეაგირების შედეგად ხანძარს შენობის მნიშვნელოვანი ნაწილი, დაახლოებით 1400 კვ.მ. ფართობი გადაურჩა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. ადგილზე მუშაობდა 17 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი.

# ქველმოქმედება დიდი სიკეთეა, სიკეთე გადამდებია!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი შპს „ახალი საუკუნე“ კარგა ხანია, რაც მკითხველს, ქართველ ბიზნესმენებს, ქველმოქმედთ, საზღვარგარეთ მცხოვრებ შეძლებულ ქართველებს ფინანსურად გაჭირვებული გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით მიმართავს:

**„განათავსეთ რეკლამა ყველაზე სახალხო, სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ წინა ხელისუფლებისგან ძალადობრივად ბინაწართმეული 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას“...**

გაზეთის მზრუნველთა საბჭოს შექმნის მოთავე იყო საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე, ბოლო წლების განმავლობაში ჩვენი გაზეთის ერთგული ხელმომწერი, მკითხველი, ავტორი და თანამდგომი, ბატონი **თამაზ შილაკაძე.**

და აი, მზრუნველთა საბჭოს ეგიდით საქართველოს კულტურის ფონდმა საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ დააჯილდოვა სპეციალური სიგელით და გაზეთის აღორძინების ფონდს **1 000 ლარი** ჩაურიცხა.

**ქველმოქმედება ჭეშმარიტად დიდი სიკეთეა. 100 წლის გაზეთის გადარჩენა თითოეული ქართველის ღირსების საქმეა. დიდი მადლობა ბატონ თამაზს და მერაბ ბერძენიშვილის სახელობის საქართველოს კულტურის ფონდს.**

**ქველმოქმედების ძალა გადამდებია, ვინ იქნება შემდეგი?! გაზეთი ყოველი ქველმოქმედების ფაქტს გააცნობს სრულიად საქართველოს!**

**ჩვენი ანგარიშია:** №GE19TB7601536020100009.

**„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია**

# ჯიბის ფული

თვეში 25 ათასი დოლარი „ჯიბის ფულად“ თქვენთვის ვინმეს შემოუძლევია? დარწმუნებული ვარ, არა! და რადგან ბატონმა სააკაშვილმა ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე“ განაცხადა, რომ არათუ შეაძლიეს, არამედ „ჯიბის ფულად“ სისტემატურად იღებდა 25 ათას დოლარს, ლიეჟში, ბევრ სხვა პირშიმთქმელის მსგავსად, სწორედ ამის შესახსენებლადაც ჩავიდა თემურ შაშიაშვილი,მაგრამ „დემოკრატიის შუქურამ“და მისმა ზონდერებმა მიკროფონთან არ მიუშვეს.

არც მყინვარია, არც არაგაწია*!
მაშ, შუქურაა?
ისემც დასცლია!
ერთი ისეთი არაკაცია,
ცდილობს, გარდაქმნას „ერი“ „ნაციად“
და თუ აცლიან, ღდინს გაგვაცლიან!
სამშობლოდან შორს, ქალაქ ლიეჟში,
ჩაკეტა კარი,
ტრიბუნასთან რომ არ მივეშვით,
არ გამხდარიყო ვინმეს სასმენად,
ვინ რას აჭმევდა, ვინ რას ასმევდა
და რა შემატეს „ჯიბის ფულადა“...
სინდისგარეცხილ კაცის ყულაბას?
არადა, ხალხო, ჩვენზე ახია,
„ჯიბის ფულს“ ქრთამს რომ არ ეძახიან!

**ალექსანდრე შენგელია.**



** არაგაწი ჩვენი მყინვარწვერივით ულამაზესი მთაა სომხეთში. 60 წლის წინათ, მის ფერდობზე დადგმულ კარვებში რამდენსამე დღეს ვცხოვრობდით მე და ჩემი თანაკურსელი მეგობრები, სტუდენტობისას სამხედრო შეკრებაზე გაწვეულები.*

*ა.შ.*

# ვაშლიჯვრის ორდონიანი კვანძის მშენებლობა გრძელდება



**მარშალ გელოვანის გამზირისა და სარაჯიშვილის ქუჩის გადაკვეთაზე ორდონიანი კვანძის მშენებლობა გრძელდება. ღამით, ბეტონის საყრდენ კონსტრუქციაზე ლითონის მალის ნაშენი დამონტაჟდა.**

სამუშაოების განხორციელებისას ადგილზე იმყოფებოდა თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი გალაქტიონ ბუაძე. მისი თქმით, პროექტის მშენებლობის პროცესი არ გამოიწვევს საავტომობილო მოძრაობის მნიშვნელოვან შეფერხებას.

**„ღამით დამონტაჟდა მალის ნაშენის ბოლო კონსტრუქცია. ეს არის 36-მეტრიანი ლითონის ნაკეთობა, რომლის მონტაჟის შემდეგ გზის სავალი ნაწილის თავზე აღარ იქნება მნიშვნელოვანი სამუშაოები საწარმოებელი, რაც ავტომანქანების გადაადგილების შეზღუდვის აუცილებლობას მოხსნის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ პროექტში შეტანილი ცვლილების შედეგად, ათეულობით ხის მოჭრის საჭიროება აღარ დგას. პროექტის ღირებულება ჯამში 4,7 მილიონ ლარამდეა და მისი დასრულება მარტი-აპრილის პერიოდში იგეგმება“,** — განაცხადა გალაქტიონ ბუაძემ.

# 75 წლის მამაკაცს სასჯელად 24 წიგნის წაკითხვა მიესაჯა

**თურქული მედიის ცნობით, ალი შაჰინს ბრალად ედება, სტამბოლის ერთ-ერთ კაფეში ყოფნის დროს, პრეზიდენტ ერდოღანის წინააღმდეგ გამოყენებული შეურაცხმყოფელი გამონათქვამები, თუმცა 75 წლის მამაკაცი ბრალდებას უარყოფს და ამბობს, რომ ის ცილისწამების მსხვერპლი გახდა.**

თურქეთის სასამართლო ალი შაჰინს მას შემდეგ გაათავისუფლებს, რაც ის 24 წიგნის წაკითხვას დაასრულებს. წიგნების ჩამონათვალში შედის თურქეთის რესპუბლიკის ფუძემდებლის ქემალ ათათურქის სიტყვით გამოსვლის კრებული, ამჟამინდელი პრეზიდენტის ერდოღანის ბიოგრაფია, 2016 წელს თურქეთში სამხედრო გადატრიალების მცდელობასთან დაკავშირებული წიგნი, ასევე რელიგიური და ისტორიული ლიტერატურა. შაჰინის ადვოკატმა სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩვრების მიზნით უკვე შეიტანა სააპელაციო სასამართლოში, თუმცა 75 წლის შაჰინმა წიგნების წაკითხვა უკვე დაიწყო.




# ზურაბ ქარუმიძის შემოქმედებითი საღამო დუბლინში

**საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, ტრინიტი კოლეჯის ლიტერატურულ კლუბში თანამედროვე ქართველი მწერლის ზურაბ ქარუმიძის შემოქმედებითი საღამო გაიმართა.**

შემოქმედებით საღამოზე ზურაბ ქარუმიძემ დამსწრე აუდიტორიას გააცნო ინფორმაცია ქართული ენისა და უნიკალური დამწერლობის შესახებ, ისაუბრა ახლახან ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს, როგორც საპატიო სტუმრის, მიერ წარმოდგენილი ლიტერატურული და კულტურული პროგრამის წარმატებაზე. მწერალმა მიმოიხილა საკუთარი შემოქმედება და თავის მხრივ, გამოხატა განსაკუთრებული ინტერესი და სიყვარული ირლანდიური ლიტერატურისა და კულტურისადმი. ზურაბ ქარუმიძემ მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს დუბლინში ჩამოსვლისა და ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციისადმი მიძღვნილ საღამოში მონაწილეობის შესაძლებლობისთვის. ღონისძიების დასასრულს, გამომცემლობამ „Dalkey Archive Press“ გაავრცელა ზურაბ ქარუმიძის ინგლისურენოვანი რომანი, რომელზეც ქართველმა მწერალმა საკუთარი ავტოგრაფი დააფიქსირა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

## უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.6438; ევრო - 2.9917;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4060
100 რუბლი - 4.0253; თურქული ლირა - 0.5022;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5598;
1000 სომხური დრამი - 5.4065.

## ამინდი 15 თებერვლისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | 0, | დღე | +10 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -5, | დღე | +8 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +3, | დღე | +13 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -3, | დღე | +9 |
| თბილისი: | ღამე | +4, | დღე | +8 |

## დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:

ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge